# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 26 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 222 (6079)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლაა



მეორე მსოფლიო ომში რუსეთმა (საბჭოთა კავშირმა) და გერმანიამ „დაჭამეს“ ერთიმეორე, ათეულმილიონობით ადამიანი ამოუწყვიტეს ერთმანეთს ... და დღეს გერმანია ისეა რუსეთთან „ჩახუტებული,“ როგორც არც ერთი სხვა ევროპული სახელმწიფო. საქართველო და რუსეთი განწირული ვართ სამეზობლოდ.

3–4

## ახალი „ფრონტი“ ახალქალაქში

9

რას ითხოვენ რუსები „ჯავახკისგან“? რას აკეთებს ხელისუფლება?

## ისევ „თურქი მესხების“ გამო...

5

## უკანონობით გაწამებული ხალხი კანონიერების დამკვიდრებას ითხოვს

5

8

## ქართული ოპოზიცია „ნინო“ – „მიშას“ წინააღმდეგ

## პაველ ფელგენგაუერი: საქართველოში აგვისტოს მოვლენების განმეორებას არ გამოვრიცხავ



2

## „საქართველო სხვა პრეზიდენტს იმსახურებს“

2

ნომრის კარიკატურა



## ინფორმაცია

### ოსებმა აღიარეს თავდასხმის ფაქტი

**ოსმა სეპარატისტებმა საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების კორტეჟზე თავდასხმა აღიარეს. ამის შესახებ გაზეთი „კომერსანტი“ ინფორმაციას სეპარატისტული ხელისუფლების ბეჭდვისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსზე ირინა გაგლოევაზე დაყრდნობით ავრცელებს.**

„კომერსანტთან“ საუბრისას გაგლოევა აცხადებს, რომ ოსმა მესაზღვრეებმა ცეცხლი მას შემდეგ გახსნეს, რაც კორტეჟი ბლოკ- პოსტს მიუახლოვდა.

ჩვენმა მესაზღვრეებმა მკაცრად გააფრთხილეს ისინი, რომ გზა არ გაეგრძელებინათ, თუმცა ერთ-ერთმა მანქანამ რამდენიმე მეტრი მაინც გაიარა, რის შემდეგაც მესაზღვრეებმა ისროლეს, — აცხადებს გაგლოევა.

შეგახსენებთ, რომ ამ დრომდე სეპარატისტული რეჟიმი, მათ შორის ედუარდ კოკოითი ცეცხლის გახსნის ფაქტს კატეგორიულად უარყოფდა და მომხდარს ქართული მხარის პროვოკაციად აფასებდა.



### „საქართველო სხვა პრეზიდენტს იმსახურებს“

**როგორც „ინტერფაქსი“ იუწყება, ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის კრების თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა ჟურნალისტებს სანქტ-პეტერბურგში განუცხადა.**

მირონოვის თქმით, საქართველო იმსახურებს სხვა პრეზიდენტს და არა მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც, მისი თქმით, არაპროფესიონალიზმი და უგადრუკობა გამოავლინა.

— ნიჭიერ ქართველ ხალხს სხვა პრეზიდენტი უნდა



ჰყავდეს. თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს შიდა საქმეა და გადაწყვეტილება ამომრჩეველმა უნდა მიიღოს, — განაცხადა მირონოვმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში პარლამენტის ექს-სპიკერი ნინო ბურჯანაძე ქვეყნის პრობლემებს სხვის ხარჯზე არ გადაწყვეტს.

### მაპის გარეშე ნატოში მიგვიღებენ?

**ამერიკის შეერთებული შტატები მომხრეა, საქართველო და უკრაინა ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის გადაცემის გარეშე მიიღონ, რამდენადაც მაპ-ზე გადასვლას ვაშინგტონი აქტუალურად არ მიიჩნევს.**

როგორც „რია ნოვოსტი“ იუწყება, ამის შესახებ უკრაინაში აშშ-ის ელჩმა ვილიამ ტეილორმა განაცხადა.

მაპ-თან მიერთების პროცესი, შესაძლოა, უკვე აღარ არის აქტუალური. ის იმდენად პოლიტიზებულია, რომ, შესაძლოა, მასზე უარის თქმა ღირს. პოლონეთს, უნგრეთსა და ჩეხეთს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა არ ჰქონიათ, მაგრამ ალიანსში მაშინვე შევიდნენ, როგორც კი კრიტერიუმები დააკმაყოფილეს, — განაცხადა ელჩმა რადიოსადგურ „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მისივე თქმით, ნატოს რამდენიმე წევრმა ნათლად დააფიქსირა, რომ საქართველო და უკრაინა დეკემბერში მაპ-ს ვერ მიიღებენ. ამდენად, ელჩის თქმით, ამერიკა სხვა გზებს გამონახავს.

### ფიჩორში რუსის ჯარები შედიან

**გალის რაიონის სოფელ ფიჩორში რუსმა აგრესორებმა დამატებით ათი ერთეული სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა შეიყვანეს. ამის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მედიაცენტრიდან იტყობინებიან.**

ოკუპანტები სოფელ ფიჩორისა და განმუხურის ადმინისტრაციულ საზღვართან, ტყის მასივში განლაგდნენ.




გალის რაიონის მოსახლეობის ინფორმაციით, რუსი სამხედროები ტყის მასივის 2-კილომეტრიანი ზოლის გასუფთავებას გეგმავენ.

ოკუპანტებს სოფელ ფიჩორში ჩატანილი აქვთ 17 საცხოვრებელი ვაგონი.

### რატომ სდევნიან ლეიბორისტებს?

**ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას თანაგუნდელების დევნაში ადანაშაულებს.**

როგორ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა, ზესტაფონის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელსა და საკრებულოს წევრს, ძებნაში მყოფ გიზო გოგლიჩიძეს საკრებულოდან დათხოვნაც ემუქრება.

გიზო გოგლიჩიძის ოჯახს გუშინ ზესტაფონის საკრებულოს თავმჯდომარის, გვარად ფერაძის ოფიციალური წერილი მიუვიდა, სადაც აღნიშნულია, რომ თუ გოგლიჩიძე საკრებულოს სხდომას კვლავ გააცდენს, დათხოვნილი იქნება ზესტაფონის საკრებულოდან, — განაცხადა გუგავამ.

მისივე თქმით, აღნიშნული ფაქტი ლეიბორისტული პარტიის დისკრიმინაციას ისახავს მიზნად, ვინაიდან გიზო გოგლიჩიძე შავი ფულის გათეთრების ბრალდებით ხელისუფლების მხრიდან იძებნება და ვერანაირად ვერ დაესწრება საკრებულოს სხდომას.

გუგავამ აღნიშნა, რომ გოგლიჩიძე გულით ავადმყოფია, მიკროინფარქტი გადაიტანა და სტაციონალურ მკურნალობას გადის.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## რუსი ექსპერტი

# პაველ ფელგენგაუერი: საქართველოში აგვისტოს მოვლენების განმეორებას არ გამოვრიცხავ!

**ნატოს 54-ე საპარლამენტო ასამბლეის მიერ რუსეთთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაზე, საქართველოს მისამართით რუსეთის თავდაცვისა და საგარეო უწყებების მუქარებზე და საქართველოში აგვისტოს მოვლენების განმეორების ალბათობაზე ინტერპრესნიუსი რუს სამხედრო ექსპერტს, „ნოვაია გაზეტას“ სპეცკორესპოდენტს პაველ ფელგენგაუერს ესაუბრა.**

**— ბატონო პაველ, ევროკავშირმა რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა კი გადაწყვიტა, მაგრამ ნატოს 54-ე საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის მისამართით საკმაოდ კრიტიკული რეზოლუცია მიიღო. რეალურად რა ხდება რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებში?**

— ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთი საქართველოს ცუდად მოექცა, ნატომ საქართველოს მხარი დაუჭირა, მაგრამ მეორეს მხრივ, დასავლეთი გამოთქვამს აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა რუსეთთან დიალოგის წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება, ნატო-რუსეთის სამუშაო ჯგუფის მუშაობის შეჩერების შესახებ, დიალოგი რუსეთთან გაგრძელდება.

**— რას შეიძლება ნიშნავდეს ნატოს ასამბლეისადმი აშშ-ს ახლადარჩეული პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ გაგზავნილ წერილში იმაზე საუბარი, რომ იგი ნატოს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებად ავღანეთის საკითხს, საქართველოს მშენებლობასა და რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას მიიჩნევს?**

— ჯერ ძნელია ამაზე საუბარი. ზუსტად იმის თქმა, რა მიმართულებით განვითარდება მოვლენები, გაუგებარია. პრინციპში დასავლეთში ყველა დაინტერესებულია საქართველოში ვითარების სტაბილიზაციით. აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია და დასავლეთის ქვეყნები რუსეთთან დიალოგისთვის არიან განწყობილი. იმ პროცესების ფონზე, რაც ხდება, საკმაოდ ძნელია იმის პროგნოზირება, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში.

**— რუსეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების სერდიუკოვისა და ლავროვის განცხადებებით, იმ შემთხვევაში თუ საქართველომ ნატოში ინტეგრაციის პროცესი გააგრძელა, რუსეთი საქართველოში აგვისტოს მოვლენების განმეორებას არ გამორიცხავს. რამდენად რეალურია საქართველოში აგვისტოს მოვლენების განმეორების ალბათობა?**

— სამწუხაროდ დიდია. ამის შესახებ რუსეთის ოფიციალური პირები ღიად საუბრობენ. ამას წინათ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ იმა-



ზე უარესი კატასტროფაა მოსალოდნელი, ვიდრე იყო. რუსეთი ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ნატოს საპარლამენტოს ასამბლეაზე მიღებულ რეზოლუციებს ყურადღებას არ აქცევს, ამიტომ, ძნელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში.

შესაძლოა, მომავალში რაღაც ცუდი მოვლენები განვითარდეს, მაგრამ ახლა, ზამთარში, არა მგონია. არა მგონია ზამთარში ვინმემ ომი წამოიწყოს. პირადად მე მომავალი წლის აპრილამდე საომარი მოქმედებების განახლებას გამოვრიცხავ. აპრილის შემდეგ საომარი მოქმედებების განმეორება გამორიცხული არაა. მაგ დროისთვის, შესაძლოა, რუსეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავდეს.

**— აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრივატიზაცია რუსეთმა უკვე განახორციელა, კიდევ რაღა უნდა იყოს, რა შეტევა განხორციელდება თბილისზე?**

— რუსეთი არასტაბილური ქვეყანაა. სროლა და აფეთქებები რუსეთში თითქმის ყოველდღე ხდება. სათათბირომ უკვე შეიტანა ცვლილებები კონსტიტუციაში. წლის ბოლომდე ამ შესწორებებს ფედერაციის საბჭოც მიიღებს. მოსკოვში სერიოზულად საუბრობენ იმაზე, რომ მედვედევი თანამდებობას დატოვებს და პრეზიდენტად კვლავ ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი იქნება არჩეული.

რუსეთი საქართველოში ხელისუფლების შეცვლას შეეცდება. რუსეთში ეკონომიკური კრიზისის გამო ვითარება რთულია. აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ჟენევის მოლაპარაკებებზე არაფერი არ გადაწყდება. ამ რეგიონებში ვითარების სტაბილიზაცია მოსალოდნელია **კვიპროსისა და გოლანის სიმაღლეების** მსგავსად. ამ ტერიტორიებზე სროლა არ ისმის, მხარეები დაშორიშორებულია. იმის გამო, რომ ომის შედეგად კრემლმა საქართველოში მისთვის მიუღებელი სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა ვერ შეძლო, იგი ახლა პოლიტიკური მეთოდებით შეეცდება საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციას და ხელისუფლების ცვლილების მიღწევას. თუ კრემლმა ეს ვერ შეძლო, საომარი მოქმედებების დაწყების საბაბად რუსეთი ისევ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ სიტუაციას გამოიყენებს. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ხომ თითქმის ყოველდღე რაღაც ხდება, ისვრიან და შეტაკებებს აქვს ადგილი, ამიტომ ვთვლი, რომ საქართველოში საომარი მოქმედებების განახლებისა და აგვისტოს მოვლენების განმეორების ალბათობა, დიდია.

**— შეიტანს თუ არა ეკონომიკური კრიზისი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან კორექტივებს?**

— შესაძლოა შეიტანოს. ისტორიიდან ცნობილია, რომ ეკონომიკური კრიზისი ომის დაწყების დამატებითი ფაქტორია. ეკონომიკური კრიზისის გამო რუსეთმა მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1905 წელს იაპონიასთან ომი დაიწყო, პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ჩართვის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთში არსებული უმწვავესი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი იყო. ეკონომიკური კრიზისის პირობებში რუსეთი ვერ შეძლებს არა თუ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენასა და აყვავებას, მას საკუთარი პრობლემების გადაჭრა და გამკლავება გაუჭირდება. ამიტომ, როგორც გითხარით, პირადად მე საქართველოში აგვისტოს მოვლენების განმეორებას მართლაც არ გამოვრიცხავ.

**კობა ბენდელიანი**

მოვუსმინოთ ყველას!

# ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლაა

**სიმართლის, ჭეშმარიტების არც თქმა და არც მოსმენა აღარავის სურს. ხელისუფალთა მთელი საქმიანობა წარმართულია სიმართლის ჩახშობისაკენ. ზუსტად ისე, როგორც ამბობს ვ. შვიობელი: „თავის ქვეშევრდომთა დაცვა სიმართლის შხამისაგან – ყველა მბრძანებლის უკეთილშობილესი ამოცანაა“. ჩვენი ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობა, მათი საინფორმაციო გადაცემები ამის დამადასტურებელია.** შემთხვევით არ დაიბადა ანეკდოტი: ჰიტლერს რომ „რუსთავი-2“ ჰქონოდა, გერმანელებს დღესაც ეგონებოდათ, რომ მეორე მსოფლიო ომში გერმანიამ გაიმარჯვაო. უფრო მეტიც, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მოსახლეობის გამოსატვინებლად. აკი გამოვაცხადეთ და ვიზეიმეთ კიდეც საქართველოს დამარცხება გამარჯვებად 12 აგვისტოს! ამ „ისტორიული გამარჯვების“ მხოლოდ ერთჯერადი აღნიშვნა ნამდვილად არ კმარა. დავაწესოთ 12 აგვისტო, „ძლევაი საკვირველის“ დღედ, ყოველწლიურ დღესასწაულად.

21-ე საუკუნეში ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის გონების კოლექტიური დაბნელება მოხდა. როცა ვუსმენ ხელისუფალთა წარმომადგენლების, ექსპერტების, პოლიტოლოგების, მეცნიერთა და სხვ. უმრავლესობის მსჯელობას ან ვკითხულობ მათ ნაწერებს, აშკარად იგრძნობა, რომ ბევრი მათგანი აზრზე არ არის და არც სურს, გაიგოს მასშტაბები იმ უბედურებისა, რაც ჩვენ თავს დავიტეხეთ ... დიახ, დავიტეხეთ, რაკი დავივიწყეთ საყოველთაოდ ცნობილი ქართული ანდაზა, ხალხური სიბრძნე: კამეჩთან მორქენალ ხარს რქები არ შერჩებაო.

ომის შედეგებზე საუბრისას ზოგიერთი იმაზე კი არ ლაპარაკობს, რომ დაგვეხოცა ახალგაზრდობა, დავკარგეთ ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი, მკვეთრად გაიზარდა დევნილთა რიცხოვნობა, დაინგრა ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა და ა. შ. არამედ იმაზე, ნატოში საქართველოს მიღების შანსები მკვეთრად დაეცაო. საქართველოს პრეზიდენტის მიმართაც მთავარი საყვედური ეს არის. „ნატოისტები“ თანახმანი არიან, თუნდაც დანარჩენი საქართველოს ნახევარიც დაიკარგოს, ოღონდ ნატოში მიგვიღონ. არადა ამ ნატოს გამოისობით დაგვემართა, რაც დაგვემართა.




ვფიქრობ, ჩვენში ბოლო წლებში დამკვიდრებული პარანოიდული შეძახილები: „ნატოში გვინდა! ნატოში გვინდა!“ პოლიტოლოგების, სოციოლოგების, ისტორიკოსების, ფსიქოლოგებისა და ექიმების განსაკუთრებული შესწავლის საგანი უნდა გახდეს. მთლიანად შესასწავლია ერის Historia morbi (ავადმყოფობის ისტორიაძ. მე არა ვარ მარტო ამას რომ ვამბობ. ვისაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ელემენტარული აზროვნების უნარი, ხვდება ამას. „ერს ტემპერატურამ აუწია, ჰალუცინაციები დაეწყო და არავინ ჩანს, ჯვარი გადაწეროს და ფუი ეშმაკსო, შესძახოს“ ამბობს ბატონი ვალერი კვარაცხელია. „ერთი რამ ცხადია: ჩვენს ერს დღეს მკურნალი სჭირდება, ჩვენი ჯანმრთელობა საფრთხეშია და თუ დროზე არ გამოვაჯანსაღებთ, ამ ახალ საუკუნეში საქართველო უქართველებოდ გადაიგრიალებს“. ეს უკვე ბატონი გივი ჯახუა გახლავთ.

მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა ჩემი ექვსი სტატია, რომლებიც ეხებოდა ჩვენს ეკონომიკას, რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზებს. მე ვწერდი: „ქვეყნის ხელმძღვანელობა პერიოდულად არ უნდა იმუქრებოდეს, რომ თუ მშვიდობიანი მოლაპარაკებით ვერ იქნება მიღწეული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დიდი ხნით ვერ მოითმენს გაყინულ კონფლიქტებს, გამოიყენებს ძალას. როგორი სამხედრო ძალაც არ უნდა შევქმნათ, იმას, ვის წინააღმდეგაც ვემზადებით ომისათვის, თუნდაც მისგან თავდაცვისათვის, ვერც ომს მოვუგებთ და ვერც თავს დავიცავთ, თუ იგი თავს დაგვესხმის. ნგრევა იქნება უზარმაზარი, მსხვერპლი - აურაცხელი და უაზრო, ომი წაგებული, საქართველო საბოლოოდ დაიშლება“. და კიდევ: „რუსეთთან „ცხელ“ *ომში, დღეს თუ იგი დაიწყება, რეალურად აშშ არ დაგვეხმარება. მართალია, ამჟერად, მწამს, ზეპირ განცხადებებს არ დაგვამადლის. მაგრამ რუსეთთან ჩვენი ომი საქართველოს სრული დაშლით დამთავრდება.“*

მე იმასაც ვწერდი, რომ „ჩვენი დასავლელი მეგობრები ჩვენი პრობლემების გადაწყვეტისათვის განცხადებებსა და რეზოლუციებზე შორს არ მიდიან და არც წავლენ, მით უფრო, ომს არ დაუწყებენ რუსეთს. ამიტომ მათი უთვალავი რეზოლუციები და მოწოდებები რუსეთისადმი ფარისევლური საფარველია, აფიორაა, რომელთაც რუსეთი აღარც აქცევს ყურადღებას. ჩვენ რომ მათ ნამდვილად და დიდი ხნით გადაგვკიდეს რუსეთს, აი ეს მწარე რეალობაა“.

ყველაფერი ეს იყო აგვისტოს ომამდე 2-3 თვით ადრე. ერთი სიტყვით, წერე და იკითხე, სიმართლე, გონივრული აზრი არავის არ აინტერესებს.

2008 წლის მაის-ივლისში საქართველოს ხელმძღვანელობამ „ტიტანური“ შრომა გასწია, რათა აემხედრებინა დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ, რეზოლუციებიდან და განცხადებებიდან გადაეყვანა იგი „ქმედებებზე“. „საქართველოში წყდება ევროპის, მთელი მსოფლიოს ბედი“; „ან თქვენ აღიმაღლებთ ხმას და ადგილზე დასვამთ რუსეთს, ან არადა ეს უკანასკნელი ჯერ საქართველოს დაიპყრობს, შემდეგ უკრაინას, ბალტიისპირეთს, პოლონეთს და ა. შ“. გაისმოდა მთელი მსოფლიოს გასაგონად ჩვენი პრეზიდენტის და მისი გუნდელების ხმა. საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ელენე თევდორაძე, გაჯავრებული ევროპაზე, რომელიც სათანადოდ არ რეაგირებდა რუსეთის ქმედებებზე აფხაზეთში, სტრასბურგიდან აფრთხილებდა ევროპას: „ევროპა გონს მოეგოს, რუსეთი მას აშანტაჟებს და ამიტომ იგი უფრო თავხედდება, ევროპა გონს მოეგოს!“ შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ევროპამ არ შეისმინა არც ქალბატონი ელენეს და არც მასზე უფრო მაღალი თანამდებობის პირთა შეგონება და „გონს არ მოეგო“.

ხელისუფლების წარმომადგენლები და არა მარტო ისინი, ექსპერტები და ბევრი სხვანიც საკუთარი ფანტაზიების ტყვეობაში აღმოჩნდნენ, რომ თითქოს ევროპა და ამერიკა გააძლიერებდნენ „დაწოლას“ რუსეთზე, განცხადებებიდან და რეზოლუციებიდან გადავიდოდნენ „ქმედებებზე“ და „დააჩოქებდნენ“ მას.

ყველას გვახსოვს, ხელისუფლების წარმომადგენლებიც და ბევრი ექსპერტიც დაჟინებით გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთი ვერ გაბედავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობას, რადგან ეს მისთვის სახიფათო იქნება, თვითონ მას დაემუქრება დაშლაო. ასე „სწორად“ განჭვრიტეს „არაგანჭვრეტადი“ რუსეთის პოლიტიკა.

„გაწირა“ რუსეთმა თავისი თავიც, ჩვენც და აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ახლა რა ვქნათ? არაფერი, ცოტაც დაველოდოთ, რადგან ომის შედეგებმა კიდევ უფრო მიგვაახლოვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან, ეს პროცესი დააჩქარა, სწორედ ახლა დაიწყო დაბრუნების პროცესიო, წერენ ზოგიერთნი. „ნამდვილად ჩნდება სავსებით საფუძვლიანი ოპტიმიზმი, რომ უახლოეს პერიოდში, საერთაშორისო ძალისხმევით, ნამდვილად მოიძებნება აფხაზეთის კონფლიქტის (ისევე როგორც ცხინვალისძ მშვიდობიანი მოწესრიგებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ქმედითი მექანიზმები“ და ამიტომ „აგვისტოს მოვლენებმა არა თუ არ დაგვაშორა, არამედ შეიძლება მიგვაახლოვა კიდეც ქვეყნის ერთიანობის აღდგენის პერსპექტივას“. და შემდეგ: „ვერ გეტყვით, რომ ჩვენ ეს ტერიტორიები (აფხაზეთი და შიდა ქართლიძ დავკარგეთ, ვფიქრობ, სწორედ ახლა დაბრუნების პროცესი დაიწყო“. ხოლო „რუსეთს ნამდვილად კატასტროფა ემუქრება, თუ არ გააუქმებს თავის გადაწყვეტილებებს აფხაზეთისა და ცხინვალის შესახებ“. გამოდის, რომ სწორი ნაბიჯი გადაგვიდგამს, როცა შევიჭერით ცხინვალში.

ერთი სიტყვით, ბედნიერ დასასრულს მივუახლოვდით. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ ღრუბლებში ნავარდია, ზმანებაა. ავტორები ალბათ, მოქმედებენ ჟ. ადისონის მიხედვით: „რატომ მეუბნებით, რომ ჩემი ბედნიერება მხოლოდ ზმანებაა? თუნდაც ზმანება, გამიშვით დავტკბე იმით“.

ვინც „საქართველოს რესპუბლიკას“ კითხულობს, ზემოაღნიშნული მსჯელობები აუცილებლივ მიიქცევდა მათ ყურადღებას. ავტორებს არ ვასახელებ, იმიტომაც, რომ მწამს, მარტო ისინი არ იქნებიან ასეთი შეხედულების.

კიდევ ერთი უაღრესად პატივცემული ავტორი წერს, რომ დსთ-დან არაფრით არ უნდა გამოვიდეთ, დავრჩეთ იქ იმისათვის, რომ თვით რუსეთი გავრიცხოთ დსთ-დანო.

ექსპერტები, ექსპერტები... იკვლევენ ცხინვალის ომში საქართველოს დამარცხების მიზეზებს, სამხედროების შეცდომებს, მსჯელობენ იმაზე, თუ რატომ არ გადავკეტეთ როკის გვირაბი, ეს რომ გვექნა, რუსეთის საქმე „წასული“ იქნებოდაო. წერენ, სწორად რომ წაგვემართა სამხედრო ოპერაციები, რუსეთს დავამარცხებდით და გავაძევებდით სამხრეთ ოსეთიდანო. კვლავ ფანტაზიორობაა. ვერ დაუშლი!. გამახსენდა 1992 წელი, როცა რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რუცკოი დაგვემუქრა თბილისის დაბომბვით, და შევარდნაძემ სასწრაფოდ მასთან „მაფრინა“ მოსალაპარაკებლად.

როკის გვირაბს თუ დავკეტავდით, რუსეთი თბილისს ვერ დაბომბავდა? ანთუ ვინმე ფიქრობს, რომ რუსის ჯარი, რომელიც სულ რაღაც 30 კილომეტრით იყო დაშორებული ჩვენს დედაქალაქს, რომ წამოსულიყო და აეღო თბილისი, დასავლეთი უფრო მეტ ხმაურს ატეხა, ვიდრე მაშინ ატეხა ხმაური, გორი და ფოთი რომ აიღო? მერე რა, თუნდაც უფრო მეტი ხმაური აეტეხათ, ევროპა მაშინ უკვე ნამდვილად გადავიდოდა „ქმედებაზე“, გამოუცხადებდა ეკონომიკურ ბლოკადას რუსეთს, შეწყვეტდა მისგან ნავთობისა და გაზის შეძენას, ხოლო აშშ რაკეტებს დაუშენდა მოსკოვს?

რამდენი იხმაურა დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ აგვისტოს შემდეგ, როგორ „წუხდნენ“ ჩვენი ექსპერტები და სხვანი, რომ რუსეთმა თავი საშინელ მდგომარეობაში ჩაიგდო, საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა, რუსეთის საქმე წასულია, ევროპა და ნატო არ განაახლებენ ურთიერთობას რუსეთთან, ვიდრე იგი არ აღადგენს 7 აგვისტოს მდგომარეობასო. დაელოდნენ ისინი ამას? კი, რამდენიმე თვე. და რაკი რუსეთმა ყურად არ იღო მათი ეს მუქარა, ანტირუსული ფრონტი დაირღვა უკვე ნოემბერში, როცა ნატომაც და ევროკავშირმაც თვალი დახუჭეს რუსეთის მიერ აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობაზე და კვლავ განაახლეს ურთიერთობა მასთან. ამით დღესდღეობით მათ დე ფაქტო აღიარეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რუსეთის სამხედრო ბაზებისა და ჯარის იქ ყოფნა.

აი ასე, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. 4,5 მლრდ დოლარი გადმოგვიგდეს და გვითხრეს: თუ ჭკუით იქნებით, ესე იგი, თუ არ იხმაურებთ დაკარგულ ტერიტორიებზე, შეიძლება კიდევ დაგეხმაროთო. ამას ჩვენ შევურიგდით და თქვენც უნდა შეურიგდეთ, თქვენი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო რუსეთს ომს არ დავუწყებთ. ისე თქვენს სასარგებლო განცხადებებსა და მოლაპარაკებების ორგანიზაციას არ დაგამადლითო. ეს ხმამაღლა არ უთქვამთ, ჩვენ უნდა მივხვდეთ, მათი საქციელიდან გამომდინარე.

პირველი ასეთი „უშედეგო წარმატებული“ (გაზეთ „კომერსანტის“ სტატიის სათაურიძ მოლაპარაკება უკვე შედგა ჟენევაში 18-19 ნოემბერს. მისმა ყველა მონაწილემ განაცხადა, რომ მოხდა „გარღვევა“, რაც იმაში გამოიხატა, რომ საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარგზავნილებმა ჟენევაში არა მარტო ცხვირ-პირი არ დაამტვრიეს ერთმანეთს, არც უგინებიათ ერთმანეთისათვის, თავაზიანად ისაუბრეს, უფრო მეტიც, ჩაიც ერთად დალიეს და ერთადაც ისადილეს. და ეს თურმე პირველი უდიდესი წარმატებაა. მომდევნო შეხვედრებზე უკვე ისეთ გადაწყვეტილებებს მიიღებენ, რომელთა ძალითაც რუსეთი დატოვებს შიდა ქართლს და აფხაზეთს, ცხადია, თავის ჯარიანად და მას შეცვლის საერთაშორისო პოლიციური ძალები და კვლავ, ცხადია, ყბადაღებული „საერთაშორისო თანამეგობრობის“ მხარდაჭერით. ასე მიაჩნია საქართველოს დელეგაციას და ჩვენ თანამემამულეთა

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## მეგობრობა ოფიციალურად გააფორმა

**დიმიტრი მედვედევმა** ხელი მოაწერა კანონს – აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

ამ ინფორმაციას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

## კომპანიები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე იმუშავებენ

**საქართველოს** სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, 27 კომპანიას, მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის უფლება მიეცა.

ამის თაობაზე გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა.

მინისტრის თქმით, მთავრობის ეს გადაწყვეტილება აუცილებელი იყო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის შესაბამისად, რადგან კომპანიები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქმიანობენ, კანონგარეშედ არ აღმოჩენილიყვნენ.

ამ კომპანიებს შორის არის „ენგურჰესი“, „ვარდნილჰესების კასკადი“, „კოდორიჰესები“, „მშენსერვისი“, „მერკური პლუსი“, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალი, „ენერგო-პრო ჯორჯია“, „თელასი“, „საქენერგო რემონტი“, „საქრუსენერგო“ და სხვა კომპანიები.

ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, ამ კომპანიებზე დაშვებულია გამონაკლისი, რათა მათ შეზღუდულად განახორციელონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავიანთი საქმიანობა.

## ქართული მხარე მზად არის გაზმომარაგების აღსადგენად

**ცხინვალის** გაზმომარაგების ქსელი აგვისტოს მოვლენების შედეგად სერიოზულად დაზიანდა და ქართულ მხარეს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების საშუალება არ ეძლევა.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა, ცხინვალის ქსელი ნავთობისა და გაზის კორპორაციას ეკუთვნის; დაზიანების ადგილი მდებარეობს იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ოკუპანტი ჯარი აკონტროლებს, ქართველ სპეციალისტებს კი არ ეძლევათ ამ ტერიტორიაზე შესვლისა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა.

მინისტრის თქმით, შესაბამისი პირობების შექმნისთანავე, ქართული მხარე მზად არის, გაზმომარაგების ქსელზე სამუშაოები ჩაატაროს.

ინტერპრესნიუსი

## ⊙ ინფორმაცია

### ინვალიდები საშემოსავლო გადასახადისგან უნდა გათავისუფლდნენ

„ქრისტიან-დემოკრატები“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მთელი რიგი შეღავათების დაწესების ინიციატივით გამოდიან.

აღნიშნულ ინიციატივებზე დეპუტატმა მაგდა ანიკაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

მისი თქმით, ინიციატივებს ფრაქცია ჯანდაცვის კომიტეტს წარუდგენს, რათა მათი ასახვა 2009 წლის ბიუჯეტის პროექტსა და უკვე ინიცირებულ „საგადასახადო კოდექსში“ მოხდეს.

რაც შეეხება ინიციატივებს, „ქრისტიან-დემოკრატები“ ითხოვენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემწეობა ასაკის პენსიონერთა პენსიას გაუთანაბრეს; იმ საწარმოებს, სადაც დასაქმებულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, დაუწესდეთ საგადასახადო შეღავათები; 6 ათას ლარამდე წლიური შემოსავლის მქონე პირველი ჯგუფის ინვალიდები და 3 ათას ლარამდე წლიური შემოსავლის მქონე მეორე ჯგუფის ინვალიდები გათავისუფლდნენ საშემოსავლო გადასახადისგან.

### „აფხაზეთის მეგობრები“ ბლოკადის გაუქმებას ითხოვენ

თურქეთის აფხაზური დიასპორა ქვეყნის ხელისუფლებას სოხუმისთვის სატრანსპორტო ბლოკადის გაუქმებას სთხოვს.

როგორც ინტერნეტგამოცემა „კავკაზსკი უზელი“ იუწყება, ამ მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება უკვე დაიწყო.

საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „აფხაზეთის მეგობრები“ თურქეთის ეროვნულ კრებას, პრემიერს, საგარეო საქმეთა და ტრანსპორტის მინისტრებს მიმართვა გაუგზავნა. მიმართვაში აფხაზეთთან ნათესაური თუ საქმიანი კავშირის მქონე ადამიანები ტრაბზონსა და სოხუმს შორის საზღვაო მიმოსვლის, სტამბოლსა და სოხუმს შორის კი ავიარეისების აღდგენას მოითხოვენ.

ორგანიზაციის წევრები მიიჩნევენ, რომ მიზანშეწონილი იქნება აფხაზეთისთვის სატრანსპორტო ემბარგოს გაუქმებაც.

— ვიმედოვნებთ, თურქეთის ხელისუფლება ჩვენს ხმას გაიგონებს, გააუქმებს ემბარგოს და აფხაზეთთან პირდაპირ სატრანსპორტო კავშირს დაამყარებს, — ნათქვამია წერილში, რომელსაც 500-მა ადამიანმა მოაწერა ხელი.

### ცხინვალი თავიდან უნდა აშენდეს?

ცხინვალის მოსახლეობა საცხოვრებელი სახლების აღდგენის ტემპით უკმაყოფილოა. ამის შესახებ ცხინვალელებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს განუცხადეს.

კოკოითი იმ ცხინვალელებს შეხვდა, რომელთა სახლებიც აგვისტოს მოვლენების შედეგად სრულად ან ნაწილობრივ განადგურდა. დე ფაქტო პრეზიდენტს ცხინვალის მოსახლეობამ საცხოვრებელი სახლების არაოპერატიულად აღდგენის შესახებ აცნობა, რის შემდეგაც კოკოითმა შესაბამის უწყებებს დავალებები მისცა.

— მოქალაქეების დიდი ნაწილი ისეთ შენობებში ცხოვრობს, რომლებიც აღდგენას აღარ ექვემდებარება. დაუშვებელია, ხალხი ასეთ პირობებში ცხოვრობდეს. ერთი რაიონი თითქმის მთლიანად დასანგრევია. აუცილებელია, სასწრაფოდ აშენდეს მრავალსართულიანი სახლი, — განაცხადა კოკოითმა.

ინტერპრესნიუსი

## ⊙ მოვუსმინოთ ყველას!

# ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლაა

(მესამე გვერდიდან)

დიდ ნაწილს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ აბსოლუტურად არა აქვთ გააზრებული, ან გვაჩვენებენ, რომ არა აქვთ გააზრებული ის რადიკალური ცვლილება (ჩვენთვის კატასტროფაძ, რაც მოხდა აგვისტოს ომის შემდეგ და შედეგად საქართველოს და მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში.

ამისთანა „შედეგიანი“ მოლაპარაკებები არა მარტო ჟენევაში, არამედ სტამბოლში, ათენში, სოჭში და ა. შ. რამდენიც გინდა, იმდენი იყო ახლო წარსულში. ამჟამინდელი მოლაპარაკების უკვე პირველი „შედეგიდან“ ჩანს, რომ მოლაპარაკებების უკანასკნელი 15 წლის „ბრწყინვალე“ ტრადიცია წარმატებით გაგრძელდება და მათი მონაწილენი კვლავაც მრავალჯერ გაისეირნებენ ჟენევის ტბაზე. მოსწყინდებათ ჟენევა და მისი ტბა, სხვაგან გადაინაცვლებენ. მსოფლიოში ქალაქი, ტბა და ზღვა მრავლადაა.

ერთი ცხადია: 15 წლის განმავლობაში ასეთი მოლაპარაკებებით თუ ვერ დავიბრუნეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომლებიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლად გამოცხადებული არ იყვნენ, დღეს, როდესაც ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი, ეს მოლაპარაკებები შეიძლება 30 წელს და უფრო მეტ ხანს გაგრძელდეს ასეთივე „შედეგებით“. მით უმეტეს, უკვე ცნობილია, რომ ასეთი მოლაპარაკებების „შედეგები“ მოლაპარაკებებში მონაწილეთა მივლინების ხარჯების 0, 001 პროცენტსაც ვერ ანაზღაურებს, ესე იგი, აბსოლუტურად ფუჭი, უფრო მეტიც, დანაშაულებრივი ხარჯებია, რადგან ქმნის მხოლოდ მოჩვენებას, ხალხის მოსატყუებლად, რომ თითქოს ამ მოლაპარაკებებით შეიძლება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ამ თათბირებით არაფერი არ შეიცვლება ჩვენთვის, ვიდრე იმათი მოიმედე ვიქნებით, ვინც რუსეთთან გვაპირისპირებს, მის წინააღმდეგ გვაქეზებს, გვალანძღინებს მას, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ხელს არ ანძრევენ ჩვენს საშველად, თვითონ კვლავ მასთან ნორმალურ ურთიერთობას უზრუნდებიან, ჩვენ კი დიპლომატიური ურთიერთობაც გავწყვიტეთ..

საინტერესო დეტალი. აგვისტოს „ცხელ დღეებში“, როცა რუსეთის ჯარი თბილისისაკენ მოემართებოდა, საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის მოსკოვსა და თბილისში გამომგზავრების წინა დღით აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა დაურეკა მას და ურჩია, არ წამოსულიყო. ეს საჯაროდ განაცხადა სარკოზიმ და ეს მოისმინა მთელმა მსოფლიომ. აი ასე. გამოდის, რომ ჩვენმა პატრონმა ჩრდილოეთის დათვის გაღებულ ხახაში შეგვაგდო, თვითონ თითი არ გაანძრია ჩვენს დასახმარებლად და ევროპასაც ურჩევდა, არ ჩარეულიყო საქმეში. ასეთი „მეგობრები“ გვყავს.

აშშ საქართველოს მეგობარი? აშშ არ შეიძლება იყოს საქართველოს მეგობარი. იგი არავისი მეგობარი არ არის. მან იცის მხოლოდ თავისი სახელმწიფოს იმპერიული ინტერესები. პოლიტიკაში არ არსებობს მეგობრობა. პოლიტიკაში მეგობრობის ნაცვლად არის სახელმწიფო ინტერესი. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურმა მოღვაწემ პალმერსტონმა თქვა თავისი ქვეყნის შესახებ: „ინგლისს არა ჰყავს არც მუდმივი მეგობრები და არც მუდმივი მტრები. მუდმივია ინგლისის ინტერესები“. აშშ მისმა საკუთარმა გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა მოიყვანა ჩვენთან.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფალნი დიდხანს აცხადებდნენ თავიანთ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, მაგრამ რუსეთიც კი არ ცნობდა მათ დამოუკიდებლობას მიმდინარე წლის აგვისტომდე. აშშ-ს წარმომადგენლები კი ფარულად ჰპირდებიან მათ დამოუკიდებლობის აღიარებას, თუკი ისინი „მოეშვებოდნენ“ რუსეთს. ესეც გამჟღავნდა და საყოველთაოდაა ცნობილი.

აშშ ცნობს ნებისმიერ სეპარატისტს, თუკი ეს მის ინტერესებშია. მის ინტერესებშია რუსეთის დაშლა. ამიტომ ცნო კოსოვო. აშშ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასაც ცნობს რუსეთის დაშლისაკენ მიმავალ გზაზე.

მიმდინარე წლის 1 მაისს გამოქვეყნებულ სტატიაში ვწერდი: „ამჟამად, აშშ-რუსეთს შორის ცივ ომში ამერიკის მხარეზე ვართ ჩართული და მთლიანად იქიდან ვიმართებით. ამიტომ ვართ ჩვენც დიდ მეზობელთან — რუსეთთან ცივი ომის მდგომარეობაში, რაც აბსოლუტურად არ უპასუხებს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, პირიქით, ამ ინტერესების საწინააღმდეგოა და ამაშია ჩვენი უბედურება“.

* * *

„ერეკლე მეორემ რუსეთი შემოიყვანა, მე კი ამერიკა, და ისტორია განსჯის, ვინ იყო მართალი“ — უბრძანებია ბატონ ედუარდ შევარდნაძეს!..

მეფე ერეკლე მეორე ისტორიამ უკვე განსაჯა. ჯერ კიდევ რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლის თავზე დიდი ილია წერდა: „...ამ ღირსსახსოვარი დღიდამ (ე. ი. შეერთების დღიდან — ვ. ა.) საქართველომ მშვიდობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან, დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებული ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე. გაქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება ... დადგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში ... ერი გულწრფელად მიენდო თავის მომავალს დიდი რუსეთის მფარველობის იმედისა და ნუგეშით ფრთაშესხმული...“

ორასი წლის მანძილზე რუსეთის შემადგენლობაში, *მიუხედავად ყოველივესი, შევინარჩუნეთ ენა, მამული, სარწმუნოება, ტერიტორიულად გავერთიანდით, გავმრავლდით, განვითარდა ეკონომიკა, კულტურა*...

ილია ჭავჭავაძის თქმით, რუსეთთან შეერთების წინ: „საქართველო მაშინ ისე მძიმე ავადმყოფს ჰგავდა, რომელსაც ძლივს-ღა შეუძლია მკურნალს თავისი სისუსტე ამცნოს...“ ვითომ 1992 წელს საქართველო ასეთსავე მდგომარეობაში იყო, რომ შევარდნაძემ ერეკლე მეორეს მიბაძა და ორასი წლის მანძილზე ქართველი ერის ნაოცნებარი და ნანატრი *ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა*, 1991 წელს მოპოვებული, აშშ-ს ჩააბარა?

ერთი ცხადია, სულ რაღაცა 10-15 წელიწადში (ისტორიისათვის წამზე ნაკლებ დროშიძ, რაც „ბარბაროსული“ რუსეთის ნაცვლად „ცივილიზებული“ აშშ-ს კოლონიურ მონობაში ვართ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად წარმოება დაინგრა, ეკონომიკა მოიშალა, უმუშევრობამ კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია, მოსახლეობის ოთხი მეხუთედი გაღატაკდა, ორი მილიონი ჩვენი თანამემამულე სამშობლოდან გადაიხვეწა სხვა ქვეყნებში ლუკმაპურის საძებრად, ბუნება განადგურდა, ქვეყანა ვალებში იხრჩობა, აყვავდა კორუფცია, პროსტიტუცია, ნარკომანია, ქვეყანა ტერიტორიულად დაიშალა. ეს მოკლე ჩამონათვალია იმ უბედურებებისა, რაც საქართველოს თავს დაატყდა. ვკარგავთ *ენასაც, მამულსაც და სარწმუნოებასაც. ასე რომ, შევარდნაძის „ნამოღვაწარი“ ისტორიამ მის სიცოცხლეშივე შეაფასა, ამისათვის საუკუნეები არ გახდა საჭირო.*

აი ამ ფონზე საქართველოში ფართო მასშტაბებით მიდის ისტორიის „ქექვა“, ყველაფერი ცუდის გამომზეურება, რაც იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. „გაირკვა“, რომ ორასი წლის მანძილზე რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნისას კარგი არაფერი ყოფილა საერთოდ. უფრო მეტიც, მთლიანად ბოროტება იყო. გონების საყოველთაო დაბნელებაა! ამერიკული ვირუსი უღრღნის ტვინს ხალხს, მართალია არა ყველას, მაგრამ ძალიან ბევრს. აღარც ერეკლე მეფის, არც ნიკოლოზ ბარათაშვილის და თვით დიდი ილიას ავტორიტეტი და არც ის, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების წინ, საყოველთაო აღიარებით, საქართველო იყო ყველაზე აყვავებული რესპუბლიკა სსრ კავშირის შემადგენლობაში, აღარ შველის საქმეს.

ერთმა ბრძენმა თქვა: ვინც ისტორიას შაშხანიდან ესვრის, ზარბაზნებიდან სროლას მიიღებსო იქიდან. მივიღეთ კიდეც.




მაინც რას ემსახურებოდა და ემსახურება რუსეთის ამდენი ლანძღვა? მორჩა, გათავდა ყველაფერი, რუსეთთან აღარავითარი კონტაქტები, არავითარი კავშირები და რაიმე ურთიერთობა აღარ გვექნება? ჩვენი „კარის მეზობელი“ რუსეთი სხვაგან გადასახლდა თუ ჩვენ ვაპირებთ სხვა კონტინენტზე გადასვლას? თუ უბრალოდ გაბრაზებულები ენას ვიქავებთ, დაგვავიწყდა რაც თქვა ოთარაანთ ქვრივმა ქვავილის შესახებ?

მეორე მსოფლიო ომში რუსეთმა (საბჭოთა კავშირმაძ და გერმანიამ „დაჭამეს“ ერთიმეორე, ათეულმილიონობით ადამიანი ამოუწყვიტეს ერთმანეთს ... და დღეს გერმანია ისეა რუსეთთან „ჩახუტებული,“ როგორც არც ერთი სხვა ევროპული სახელმწიფო. საქართველო და რუსეთი განწირულნი ვართ სამეზობლოდ.

მიმდინარე წლის 17 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ჩემი სტატია, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინაპირობებს ეძღვნებოდა, ასე იყო დასათაურებული: „უნდა შევიგნოთ, რომ რუსეთის ფაქტორი გადამწყვეტია“. აგვისტოს მოვლენებმა ისეთნაირად შეცვალა ვითარება, რომ საქართველოს *ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის გადაწყვეტა დღეს უკვე მხოლოდ რუსეთზეა დამოკიდებული.* ეს არის დღევანდელი რეალობა, რა მწარეც არ უნდა იყოს იგი ჩვენი ხელისუფლებისათვის და ბევრი სხვისთვისაც.

თუ ასე არ არის, მაინც როგორ ვიბრუნებთ აფხაზეთსა და შიდა ქართლს? კვლავ რუსეთთან ომით, მასთან დიალოგის გარეშე, მისი გვერდის ავლით, ჩვენი „მეგობრების“ — „საერთაშორისო თანამეგობრობის“ დახმარებით? აგვისტოს და აგვისტოსშემდგომმა მოვლენებმა ყველა გამოიყვანა სააშკარაოზე და დაგვანახვა, ვინ რისი გამკეთებელია ჩვენთვის. თუ მაინც არის იმედის ნაპერწკალი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა, ეს არის ე. წ. კონფედერაციის მოდელი. და თუ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი წამოვლენ ამაზე, ალბათ, ესეც იმ პირობით, თუ იქნება მათი უსაფრთხოების შესახებ რუსეთის გარანტია. გვაქვს სხვა რაიმე პერსპექტივა?

როგორც არ უნდა ვეცადოთ, რომ გვერდი ავუაროთ რუსეთს, ჩვენი მთავარი პრობლემის — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის — გადაწყვეტის მომავალი მაინც მასთანაა დაკავშირებული, ცხადია, თუ აღნიშნული ტერიტორიების დაკარგვას უკვე არ შევურიგდით და უიმათოდ არ მივდივართ ნატოში.

ქვეყანა კატასტროფის წინაშეაო, წერენ. კატასტროფა უკვე მოხდა! კიდევ რა უბედურება უნდა დაგვემართოს, რომ ბოლოს და ბოლოს მივხვდეთ: ის გზა, რომლითაც ჩვენ უკანასკნელი 17 წლის განმვლობაში მივდივართ, არ არის ჭეშმარიტების გზა. ხოლო ერი, რომელიც არ მიდის ჭეშმარიტების გზით, ის ვერც ტაძართან მივა და მას მალე სამშობლოც აღარ ექნება. ამიტომ ბრძანა მეოცე საუკუნის დიდმა ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა: ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლააო.

სად არის გამოსავალი? რა გვეშველება? წარამარა მეორდება ეს კითხვები. გამოსავალი *საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელახალა მოპოვებაშია. ერთხელ უკვე ვწერდი და კვლავ გავიმეორებ:* „საქართველომ უარი უნდა თქვას ნებისმიერ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე, მიიღოს დეკლარაცია სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტის შესახებ და მოუწოდოს საერთაშორისო თანამეგობრობას, სცნოს მისი ეს სტატუსი; ასეთი სტატუსით იგი აღარ იქნება იარაღი ერთი დიდი სახელმწიფოს ხელში მეორე დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მათ შორის ცივ ომში. მხოლოდ სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეუძლია, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ააგოს საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. მზად ვარ, მოვისმინო სხვა უფრო რეალისტური, უფრო არგუმენტირებული ვარიანტები, რომლებიც იქნება დამყარებული საღი გონებით განსჯაზე და არა ემოციებზე.

**ვალერიან ადვაძე**

## მშიერი სამართალი

***სხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენთან, საქართველოში, ნამდვილად ასეა — კანონის უზენაესობის ნაცვლად მისი შეუსრულებლობის უზენაესობა მეფობს. ხელისუფალთა და ჩინოვნიკთა ერთი ნაწილი კანონების თხზვით არის „ოფლში გაღვრილი“, ხოლო მეორე ნაწილი — ამავე კანონების შეუსრულებლობით. პარლამენტში ყოველწლიურად უთვალავი კანონი შედის და გამოდის, მაგრამ რად გინდა, ისინი ძირითადად ან არ სრულდება, ან, თუ სრულდება — სანახევროდ, რაც ქვეყნის დემოკრატიის ხარისხზე არსებით გავლენას ახდენს. ერთ ასეთ კანონზე გვექნება სწორედ დღეს საუბარი. ჩვენი სტუმარია საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე ანზორ ბაბუხადია.***



# საქართველოში კანონის შეუსრულებლობის უზენაესობა მეფობს

## უკანონობით გაწამებული ხალხი კანონიერების დამკვიდრებას ითხოვს

**— ბატონო ანზორ, ამ ბოლო დროს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე რედაქციაში უამრავი ზარი და საჩივარი შემოდის, რომელთა ავტორები ძირითადად დამწყები ბიზნესმენები არიან. როგორც ბიზნესის ინტერესთა ქომაგი და დამცველი, ხომ არ გვეტყოდით, რა იძლევა მათი ასეთი უკმაყოფილების საბაბს?**

— უკმაყოფილების საბაბი ერთადერთია — კანონის შეუსრულებლობა. ყველას კარგად ახსოვს ის დღეები, როცა დედაქალაქსა და რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უზოდიშოდ ფეხქვეშ თელავდნენ კერძო მესაკუთრის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, ყოველგვარი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ვანდალურად უნგრევდნენ მოქალაქეებს კაფეებს, რესტორნებს, მაღაზიებს და სხვა ობიექტებს, რომლებიც მათ კანონიერ მფლობელობაში ჰქონდათ. ხელისუფალთა ასეთმა თავაშვებულმა და უკანონო ქმედებებმა საზოგადოებაში დიდი საპროტესტო ტალღა ააგორა, რამაც ჩინოვნიკობა აიძულა, უკან დაეხია. ამან ასახვა ჰპოვა თქვენს მიერ ზემოთ ნახსენებ კანონში, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 11 ივლისს მიიღო. იმავე წლის სექტემბერში ამას დაემატა საქართველოს პრეზიდენტის № 525 ბრძანებულება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“, რამაც კანონის აღსასრულებლად კეთილნაყოფიერი პირობები შექმნა.

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ ნამეტანი ხომ არ მოიქაჩლა თავი?**

— ასეა, ხალხური ანდაზა — ქაჩალი თავს არ მოიფხანს, მაგრამ, თუ მოიფხანს, სისხლს დაიდენს, — ზუსტად ამ შემთხვევაზეა მორგებული. ადრე ხელისუფლება დაკანონებულ ქონებას ძალით ართმევდა ხალხს, ახლა კი თვითნებურად მითვისებულსაც უკანონებს. ზემოთ აღნიშნული კანონით და ბრძანებულებით კანონდება მიწის ფართობები, რომლებიც ფიზიკურ პირებს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს 2007 წლამდე თვითნებურად (უკანონოდ) ჰქონდათ დაკავებული. ეს ყველაფერი, როგორც კანონშია ჩაწერილი, მიზნად ისახავს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისებას და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობას“.

**— აბა რაღას დავობს ეს ხალხი?**

— აკი გითხარით, პარლამენტის მიერ მიღებული და შემდეგ პრეზიდენტის ბრძანებულებით განმტკიცებული კანონის შეუსრულებლობას. საქმე ის არის, რომ 2008 წლის 5 იანვრამდე, ანუ პრეზიდენტის არჩევნებამდე, ზემოთ აღნიშნული კანონი და ბრძანებულება მეტ-ნაკლებად სრულდებოდა, მაგრამ არჩევნების წარმატებით დასრულებისთანავე სამართალმა კარი გამოიხურა — აღარც კანონი კანონობს და აღარც ბრძანებულება.

**— ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კანონის და ბრძანებულების შემთხზველებმა და დამკანონებლებმა, პირადი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ, როგორც ჩვენში საერთოდ ხდება ხოლმე, კანონთან ერთად ხალხიც ფეხებზე დაიკიდეს?**

— ასე გამოდის, ყოველ შემთხვევაში, შექმნილი მდგომარეობა ამას უცილობლად ადასტურებს. სადღეისოდ არსებული ინფორმაციით, თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიაში შესულია ათასობით განცხადება, რომლებიც აქამდე არ განხილულა. თუ 5 იანვრამდე განხილული განცხადებების 90 პროცენტი დადებითად წყდებოდა, ახლა მათ უმრავლესობაზე პასუხი უარყოფითია. კომისია ელემენტარულ პირობებსაც კი ვერ უზრუნველყოფს. მოქალაქეები თვეობით ელოდებიან პასუხს, მაგრამ ვერ ღებულობენ, მინიშნებული ტელეფონები კი საერთოდ არ პასუხობენ. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, განცხადების განხილვის ვადები 6 თვემდე გაიზარდა, გასული წლის ნოემბრის, დეკემბრის, წლევანდელი იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის განცხადებები დღემდე განუხილავად აწყვია. ამასთან, აღნიშნული ცვლილებით გართულდა მიწის დაკანონება, რაც საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს ეწინააღმდეგება. თუ ადრინდელი კანონით უნებართვოდ დაკავებული ცარიელი მიწების დაკანონება შეიძლებოდა, ცვლილების შემდეგ ამის გაკეთება აიკრძალა.

იხ. 6 გვ.

## სიმართლე კი ასეთია!

***ა. წ. 17 ოქტომბერს რუსეთის სათათბიროს ქვედა პალატამ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებს 1944 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებით შუა აზიაში გასახლებულ ე. წ. „თურქი მესხების“ რეაბილიტაციის საერთაშორისო ვალდებულებას. ამასთან, საქართველოს ხელისუფლება „თურქ მესხებს“ აიძულებს უარი თქვან თავიანთ თურქულ წარმომავლობაზე და დასახლდნენ არა თავიანთ ისტორიულ სამშობლოში სამცხე-ჯავახეთში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონში“. რუს დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ ევროპამ და მსოფლიოს საზოგადოებამ ზეწოლა უნდა მოახდინონ საქართველოს ხელისუფლებაზე. რუსეთმა „მომენტი იშოვა“ და ცდილობს დააჩქაროს კიდევ ერთი ნაღმის აფეთქება.***

***წერილის ავტორი დოკუმენტურად ამტკიცებს, რომ 1944 წელს „თურქ მესხებად“ წოდებული მუსულმანები გაასახლეს არა მარტო საქართველოდან, არამედ სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ქვეყნებიდანაც (სომხეთი, აზერბაიჯანი/ნახიჭევანი). საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია ევროსაბჭოსთან ერთად შეისწავლოს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შემუშავებული ე. წ. „თურქი მესხების“ 1944 წელს მხოლოდ საქართველოდან გასახლების ცრუ ვერსია და დაადგინოს ჭეშმარიტება ამ საკითხში, მით უმეტეს, რომ ამჟამად საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია რუსი აგრესორების მიერ, საკუთარ ქვეყანაში კი იმყოფება ასიათასობით აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა.***

# ისევ „თურქი მესხების“ გამო...

ექვს ათეულ წელზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სამხრეთ კავკასიაში, ყოფილი საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ არსებული რეგიონებიდან განხორციელდა მუსლიმანების დეპორტაცია (1944). სამწუხაროდ ეს აქცია გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან პოლიტიკური ინტრიგებისა და საქართველოს სუვერენიტეტზე მუდმივი ზეწოლის საგნად გადაიქცა.



ეს პრობლემა, მისი ხანდაზმულობის მიუხედავად, დღესაც მოუგვარებელია. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ იგი დაფუძნებულია მცდარ იდეებზე, მოსაზრებებსა და მონაცემებზე. დღესაც სარწმუნოდ არაა ცნობილი, თუ რატომ განხორციელდა მუსლიმანების დეპორტაცია, სამხრეთ კავკასიის რომელი რეგიონებიდან მოხდა მათი გასახლება და როგორი იყო დეპორტირებულთა რიცხოვნობა და ეთნიკური შემადგენლობა?

ოფიციალურად აღიარებულია, რომ 1944 წელს მუსლიმანები გადაასახლეს მხოლოდ საქართველოდან, ძირითადად მისი ძირძველი მხრიდან — სამცხე-ჯავახეთიდან, რომ ეს მხარე არის დეპორტირებულთა „ისტორიული სამშობლო“ და სწორედ აქ უნდა მოხდეს მათი და მათი შთამომავლების კომპაქტური ჩასახლება. ამ თვალსაზრისის საფუძველზე და „ევროსაბჭოს“ დაჟინებული მოთხოვნით საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ 1999 წელს ქვეყნის ხელისუფლების სახელით აიღო ვალდებულება ყოფილი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებით 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებული მაჰმადიანებისა და მათი შთამომავლების რეპატრიაცია-ადაპტაციასა და ჩასახლებაზე.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ძალზედ დაიძაბა. საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებს შემუშავებული ჰქონდათ და ეტაპობრივად ახორციელებდნენ საქართველოში დესტაბილიზაციას. მათ რიცხვში შედიოდა 1944 წელს სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებიდან დეპორტირებული მუსლიმანებისა და მათი შთამომავლების შუა აზიაში განსახლების ადგილებიდან აყრა და სამცხე-ჯავახეთში, როგორც მათ „ისტორიულ სამშობლოში“ კომპაქტურად ჩასახლება. ამ აქციის გატარებით სურდათ საქართველოსათვის შეექმნათ კიდევ ერთი დესტაბილიზაციის კერა, რაც აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და აჭარაში სპეცსამსახურების მიერვე დაგეგმილ და განხორციელებულ მოვლენებთან ერთად ხელს შეუწყობდა საქართველოს დამოუკიდებელ რეგიონებად დაშლას.

ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად არჩევანი გაკეთდა უზბეკეთის ფერღანის ოლქში მცხოვრებ, უპირატესად სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულ მუსლიმანებსა და მათ შთამომავლებზე, რომლებიც სასტიკად დაარბიეს საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი აყრისა და გაძევების მიზნით 1989 წლის 3-12 ივლისს. ორივე მხრიდან დაიღუპა 112 კაცი, დაიჭრა და დასახიჩრდა 1012 მოქალაქე და 150 სამხედრო პირი; დაიწვა და დაინგრა 856 სახლი. ესეც არ იკმარეს და კვლავ უზბეკეთში განახორციელეს ანალოგიური დარბევები 1990 წლის 19-20 თებერვალს ბუკინსკისა და 23 მარტს პერკენტის რაიონებში. ერთი წლის განმავლობაში უზბეკეთიდან გამოაძევეს 71 ათასი ე.წ. „თურქი-მესხი“.

საქართველოში არსებული ძალზე რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო სპეცსამსახურების ჩანაფიქრის დასკვნითი ეტაპი ვერ განხორციელდა და უზბეკეთიდან გამოძევებული მოსახლეობის უმეტესობამ (40 ათასმა ადამიანმა) ბინა დაიდო აზერბაიჯანში, 17.5 ათასმა ყაზახეთში და 16 ათასმა რუსეთის ფედერაციის რეგიონებში.

ფერღანის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ზოგი საერთაშორისო ორგანიზაციის, მედიისა და თვით დეპორტირებულების ხელშეწყობით საზოგადოებაში დამკვიდრდა ტერმინი „თურქი-მესხები“ და მათი სამცხე-ჯავახეთში თუ არა, საერთოდ საქართველოში, როგორც მათ „ისტორიულ სამშობლოში“ დასახლების იდეა. ამის მიუხედავად ექსპერტთა მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნდა რომ ტერმინი „თურქი-მესხი“ მიუღებელი იყო, რადგან ერთი და იგივე პიროვნება არ შეიძლება ყოფილიყო ერთდროულად თურქიც და მესხიც (ქართველიც).

იხ. 6 გვ.

◎ მშიერი სამართალი

# საქართველოში კანონის შეუსრულებლობის უზენაესობა მეფობს

(მეხუთე გვერდიდან)

კანონიდან ამოღებულია კომისიაზე საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საკუთრების მოწმობის გაცემის სამდღიანი ვადა, რაც ისედაც გაჭიანურებულ საქმეებს უფრო მეტად გააჭიანურებს.

სისტემატურად ირღვევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე, 56-ე მუხლები, აგრეთვე, პრეზიდენტის ბრძანებულების მე-12, მე-14 და მე-16 მუხლები. განცხადებაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მითითებული არ არის, კანონისა და ბრძანებულების რომელი მუხლების საფუძველზე ეთქვა უარი განმცხადებელს, ან სად და რა პერიოდში შეიძლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება.

ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში, განსაკუთრებით ბორჯომში, გარდაბანში, მცხეთაში (აქ კომისია საერთოდ არ მუშაობსძ, აბაშაში და სხვაგან. როცა განაწყენებული მოქალაქეები კითხულობენ, რატომ არ განიხილავთ ჩვენს განცხადებებს ან რატომ გვიგზავნით უსაფუძვლო და დაუსაბუთებულ პასუხებსო, პასუხად ერთ რამესღა ისმენენ — „ზემოდან გვაქვს სიტყვიერი მითითებაო“ (!ძ.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ისიც ემატება, რომ უხეშად ირღვევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ყოველგვარი ბარიერების შექმნის გარეშე წარმოებაში მიიღოს, დაარეგისტრიროს და მისცეს სათანადო მსვლელობა ნებისმიერ განცხადებას, საჩივარსა და ა.შ. საწინააღმდეგო ქმედება ითვლება უფლება-მოვალეობათა გადაჭარბებად და ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე და 33-ე მუხლებით. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები იშვიათობა არ არის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ საკითხებთან დაკავშირებით განცხადებებს, საჩივრებს და ა.შ. უბრალოდ არ ღებულობენ. მორჩა და გათავდა!

**— ბატონო ანზორ, ხომ არ ფიქრობთ, რომ სახელმწიფო უწყებაში არიან ჩინოვნიკები, რომლებიც ცდილობენ ხალხის თვალში ხელისუფლების ისედაც შელახული ავტორიტეტი კიდევ უფრო შელახონ და მისი თავი მოსახლეობას სამუდამოდ შეაჯავრონ?**

— ზუსტად მიმიხვდით საწადელს. სწორედ ასე რომ ვფიქრობდი, ამიტომაც გავახმაურე ჩემს ხელთ არსებული ყველა საშუალებით ჩემი მოკრძალებული თვალსაზრისი. კერძოდ, ხმამაღლა ვთქვი, რომ თუ ასე გაგრძელდა დასახელებული კანონისა და ბრძანებულების შესრულება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებით უკმაყოფილოთა რიგებს მარტო დედაქალაქიდან დამატებით კიდევ 40 ათასი მოქალაქე შეემატებამეთქი. დამეთანხმებით, ეს პატარა ციფრი არ გახლავთ. თუმცა უამისოდაც ხელისუფლებას, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიის ზრდის ახალ ტალღაზე ოცნებობს, ალბათ ოცნება ოცნებად დარჩება, თუ საკუთარი კანონების რეალიზაციაზე ყოველდღიურად არ იზრუნებს.

**ესაუბრა**
**ოთარ ხუციშვილი**

◎ ინფორმაცია



## ცხინვალელთათვის პირდაპირ ხაზზეა პუტინი

**რუსეთის პრემიერი, პარტია „ედინაია როსიას“ ლიდერი ვლადიმერ პუტინი მორიგ „პირდაპირ ხაზს“ 4 დეკემბერს გამართავს.**

**ამის შესახებ „ეხო მოსკვი“ იუწყება ტელეარხ „ვესტიზე“ დაყრდნობით, რომლის ეთერშიც პუტინის გამოსვლა გადაიცემა.**

**პუტინთან პირდაპირ კავშირზე გასვლას, რუსეთის ათეულობით ქალაქთან ერთად, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც შეძლებს. ერთი კამერა ცხინვალში დაიდგმება.**

ინტერპრესნიუსი

◎ სიმართლე კი ასეთია!

# ისევ „თურქი მესხების“ გამო...

(მეხუთე გვერდიდან)

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გაასახლეს არა მარტო თურქები და მაჰმადიანი მესხები, არამედ ხემშილები (მუსულმანი სომხებიძ, თარაქამები (აზერბაიჯანელი თურქმენებიძ და ქურთები, რომლებიც დაუშვებელი იქნებოდა გაგვეერთიანებინა ერთ ისტორიულად არარსებული და შეთხზული ეთნოსის „თურქი მესხების“ ცნებაში. მით უმეტეს, რომ 1944 წელს მუსლიმანების გასახლება მოხდა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული სამხრეთი კავკასიის დანარჩენი რეგიონებიდანაც.

სამწუხაროდ ტერმინმა „თურქი მესხები“ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მრავალ პრესტიჟულ საერთაშორისო ორგანიზაციაში (გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, მიგრაციის საერთაშორისო კომიტეტი და სხვაძ, რაც, როგორც წესი, იწვევდა სერიოზულ გაუგებრობასა და გართულებებს პრობლემის სამართლიანი განხილვა-გადაწყვეტის პროცესში. საზღვარგარეთის ექსპერტები ამ ტერმინს უპირატესობას ანიჭებდნენ როგორც უფრო „მოხერხებულსა“ და 1944 წელს დეპორტირებულთა „სადაურობისა და რწმენის ამსახველს“.

ამ ტერმინის გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი 1998 წელს ვენაში და 1999 წელს ჰააგაში ე.წ. „თურქი მესხების“ პრობლემებზე გამართულმა საერთაშორისო საკონსულტაციო შეკრებებმა, რომელთა დროსაც იგი მრავალდღიანი კამათის მიუხედავად, ერთხმად მიიღეს. საქართველოს წარმომადგენელი კი რატომღაც დაჟინებით მოითხოვდა მის ჩანაცვლებას ტერმინით „მესხები“, რაც დაადასტურებდა 1944 წელს დეპორტირებული მუსლიმანების აბსოლუტური უმრავლესობის ქართულ წარმომავლობას. ყოველივე ამის შემდეგ საზოგადოებაში საბოლოოდ დამკვიდრდა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ შეთხზული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს 1944 წელს „თურქ მესხებად“ მონათლული მუსლიმანების დეპორტაცია განხორციელდა მხოლოდ საქართველოდან (სამცხე-ჯავახეთიდანძ და რომ ეს მხარე არის დეპორტირებულთა „ისტორიული სამშობლო“, სადაც უნდა მოხდეს მათი და მათი შთამომავლების კომპაქტური ჩასახლება.

ამ მოსაზრების მცდარობაში რომ დავრწმუნდეთ, უპირველესად საჭიროა სარწმუნოდ დავადგინოთ 1944 წელს დეპორტირებული მაჰმადიანების რიცხოვნობა და ეთნიკური შემადგენლობა. მედიაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მათი რიცხვი მერყეობდა 70-დან 265 ათასამდე. სარწმუნოდ მიგვაჩნია დოცენტ შოთა ნოზაძის მიერ საქართველოს პრეზიდენტის არქივში მიკვლეული მასალები, საიდანაც ჩანს, რომ 1944 წელს საქართველოდან გაუსახლებიათ 15568 მუსლიმანთა ოჯახი 69869 სულით, მათ შორის: თურქი — 59780 (85.5%), ქურთი — 8667 (12.4%), თარაქამა და ხემშილი — 1462 (2.1%). ეჭვსგარეშეა, რომ ამ მონაცემებში თურქებად მოიხსენიებდნენ არა მარტო გამაჰმადიანებულ (როგორც ქართული, ისე თურქული წარმომავლობის) მესხებს, არამედ თურქული და ირანული ტომების სხვა წარმომადგენლებს (ანატოლიელ თურქებს, სპარსელებს, თალიბებს და სხვებს), რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში მაჰმადიანების დეპორტაციამდე.

ფერღანის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ 1991 წელს საბჭოთა მასმედიაში გამოქვეყნდა ოფიციალური მასალა ე. წ. „სტალინური დეპორტაციის“ შესახებ, რომელშიც მოტანილია ლ. ბერიას 1944 წლის 28 ნოემბრის მოხსენებითი ბარათი ი. სტალინის, ვ. მოლოტოვის და გ. მალენკოვის სახელზე, საიდანაც ჩანს, რომ სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებით საქართველოდან 1944 წელს გაუსახლებიათ 91095 თურქი, ხემშილი და ქურთი — ჟურნალი „Коммунист“, №3, 1991, გვ. 101-112ძ. ამავე ჟურნალში მოტანილ კრებსით ცხრილში გასახლებული თურქების, ხემშილების და ქურთების რიცხოვნობა შეადგენდა 94955 მოსახლეს. გაუგებარია ზემოხსენებულ ოფიციალურ დოკუმენტებში საქართველოდან დეპორტირებული მუსლიმანების რიცხოვნობის ამსახველ მონაცემებში საკმაოდ სოლიდური განსხვავება (21296-25146ძ.

2005 წლის 5 ივნისს თბილისში საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც 1944 წელს სამხრეთ კავკასიიდან (ოფიციალურად საქართველოდან) დეპორტირებულ მუსლიმანებს მოიხსენიებდნენ „მესხებად“ (ქართველებად). კონფერენციას კი ეწოდა „მესხთა პრობლემების მდგრადი გადაწყვეტის ძიება“, რომელზეც მოისმინეს პოსტსაბჭოთა სივრცისა და საზღვარგარეთის ათამდე ქვეყნის წარმომადგენლის მოხსენება თემაზე: „მესხთა მდგომარეობა აზერბაიჯანში, ყაზახეთში, უზბეკეთში, რუსეთში, ყირგიზეთში, უკრაინაში, თურქეთში, საქართველოსა და აშშ-ში“. კონფერენციაზე დადასტურდა, რომ 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით პოსტსაბჭოთა სივრცესა და საზღვარგარეთის ქვეყნებში ცხოვრობდა 425 ათასიდან 465 ათასამდე „მესხი“ (მათ შორის აზერბაიჯანში — 135 ათასი; ყაზახეთში — 150 ათასი; უზბეკეთში — 30 ათასი; ყირგიზეთში — 50-70 ათასი; უკრაინაში - 9.2 ათასი; თურქეთში — 35 ათასი; საქართველოში — 650; აშშ-ში - 1.5-2 ათასი), ანუ 6-7-ჯერ მეტი, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის არქივში სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მუსლიმანების რაოდენობა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

„თურქ-მესხებად“, ამჟამად კი „მესხებად“ წოდებულ მუსულმანთა მასაში მნიშვნელოვანი წილი — თითქმის ნახევარი — ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამხრეთი კავკასიის სხვა რეგიონებიდან დეპორტირებულ მუსლიმანებსა და მათ შთამომავლებს.

დეპორტირებულთა ეთნიკური შემადგენლობა სავარაუდოდ უნდა შეესაბამებოდეს 1926 წელს მოსახლეობის პირველი საკავშირო აღწერის მასალებს, რომლის მიხედვითაც სამხრეთი კავკასიის სამივე რესპუბლიკაში აზერბაიჯანელებისა და ქურთების გარდა ცხოვრობდნენ: ანატოლიელი თურქები, სპარსელები, თალიშები, თათები, წახურები და სხვანი. რაც შეეხება ხემშილებს (მუსულმან სომხებს), თარაქამებს (აზერბაიჯანელ თურქმენებს) და მაჰმადიან მესხებს ისინი ყოველთვის ეწერებოდნენ აზერბაიჯანელებად ან თურქებად.

ოფიციალურად აღიარებულია, რომ საქართველოდან მუსლიმანების დეპორტაცია განხორციელდა ე. წ. „სტალინური რეჟიმის“ დანაშაულებრივ ქმედებათა გამო. ფაქტები კი მოწმობენ, რომ ეს აქცია ნაკარნახევი იყო გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის სტრატეგიითა და ტაქტიკით.

უტყუარი მონაცემებიდან ნათელია, რომ ევროსაბჭოს მიერ საქართველოს ხელისუფლებისადმი თავსმოხვეული ვალდებულება უსამართლოა და იგი მოითხოვს გადასინჯვას. გაუმართლებელია, აგრეთვე, მცდარ მონაცემებზე აგებული დეპორტირებული მუსლიმანებისა და მათი შთამომავლების რეაბილიტაციის კანონის ამოქმედება, რომელიც გასული წლის 11 ივლისს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. მით უმეტეს, რომ იგი დაფუძნებულია მცდარ მონაცემებზე, ხოლო მასში რეკომენდებული ტერმინები მნიშვნელოვან კორექტივებს მოითხოვს. ესეც რომ არ იყოს, ქვეყნისათვის ძალზე საშიშია ისეთი კანონის ამოქმედება, რომელიც ეხება ადამიანთა უცნობი და პრაქტიკულად შეუზღუდავი რაოდენობის ჩამოსახლებას, როდესაც არავინ უწყის რამდენი კაცი გამოთქვამს საქართველოში ჩასახლების სურვილს და რამდენი კაცი იმსახურებს ამგვარ უფლებას.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი, ჩემი აზრით, საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ უნდა გამონახოს ევროსაბჭოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციისა და შეთანხმების გზით. პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის აუცილებელია იმდროინდელი მოვლენების რეალური შეფასება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაისახოს და განხორციელდეს თანამედროვეობის ამ ძალზე რთული, ხანდაზმული და შეცდომებით აღსავსე პრობლემის განხილვა-გადაწყვეტის რეალური გზები. სიმართლე და სხვა არაფერი სიმართლის გარდა შეიძლება იყოს ამ პრობლემის გადაწყვეტის გარანტი.



**ალექსი მიქელაძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

პირველად ქართულად

# ბარაკ ობამა

# „იმედის შემართება“

## რამდენიმე ამონარიდი იმ კაცის წიგნიდან, რომელსაც შეუძლია ამერიკისა და მთელი მსოფლიოს შეცვლა




მეოთხე თავში მკითხველი გაიგებს იმ ფარული ზამბარების – ფულის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ინტერესების მიხედვით ჯგუფების, საკანონმდებლო პროცედურების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ მოახრჩონ პოლიტიკოსების ყველაზე საუკეთესო განზრახვები. მომდევნო ხუთ თავში ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემების წარმატებით გადაჭრის სახელით მე გთავაზობთ აზრთა სხვადასხვაობის დაძლევის საშუალებებს, ისეთი პრობლემებისა, როგორებიცაა ამერიკული ოჯახების სულ უფრო მზარდი ეკონომიკური დაუცველობა, რასობრივი და რელიგიური წინააღმდეგობანი ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში, აგრეთვე ვსაუბრობ საერთო მსოფლიო საშიშროებებზე – ტერორიზმიდან პანდემიებამდე, რომლებიც სულ უფრო დაჟინებით გვიკაკუნებენ კარზე.

მიმაჩნია, ბევრი ჩემი მკითხველი იტყვის, რომ გაუმართლებლად ვწევ წინა პლანზე ერთ საკითხებს და არაფერს ვამბობ სხვებზე. ასეთ შემთხვევაში თავს ვგრძნობ, როგორც ბრალდებული სასამართლოში. ბოლოს და ბოლოს, მე დემოკრატი ვარ: ჩემი აზრები ბევრ საკითხში უფრო ემთხვევა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სარედაქციო სტატიებს, ვიდრე „უოლ-სტრიტ ჯორნალისას“. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც პირველ რიგში ითვალისწინებენ შეძლებული და გავლენიანი პოლიტიკოსების ინტერესებს და ჩრდილში აყენებენ ჩვეულებრივ, საშუალოსტატისტიკურ ადამიანებს და ვამტკიცებ, რომ ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებაში სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მწამს ევოლუცია, სამეცნიერო გამოკვლევები და გლობალური დათბობა; მწამს სიტყვის თავისუფლება, იმისდა მიუხედავად, შეესაბამება თუ არა იგი პოლიტკორექტულობის წესებს, მაგრამ არ მიყვარს, როდესაც სახელმწიფოს იყენებენ, როგორც მორწმუნეთა ზემოქმედების ინსტრუმენტს, ვისაც ჩემს თავსაც ვაკუთვნებ, ურწმუნოებზე. უფრო მეტიც, გარკვეული თვალსაზრისით, მე საკუთარი ბიოგრაფიის მძევალი ვარ: მე ხომ ამერიკულ ცხოვრებას ვუმზერ შერეული წარმომავლობის შავკანიანი ამერიკელის თვალით და არ შემიძლია დავივიწყო იმის შესახებ, თუ ჩემს მსგავს ადამიანთა რამდენი თაობა განიცდიდა დევნასა და დამცირებას, აგრეთვე შესანიშნავად მესმის, რომ რასა და საზოგადოებრივი კლასი, როგორც ფარულად, ისე აშკარად, აყალიბებს თითოეული ადამიანის ცხოვრებას.

მაგრამ ჩემი შეხედულებები ამით არ ამოიწურება. ვიცი, რომ ჩვენი პარტიაც არის ხოლმე თვითკმაყოფილი, შეუძლია ჩაიკეტოს თავის თავში, გადავარდეს დოგმატიზმში. მე მწამს თავისუფალი ბაზარი, კონკურენცია, მეწარმეობის სულისკვეთება და ვფიქრობ, რომ ბევრი სამთავრობო პროგრამა ამართლებს მათზე დაკისრებულ იმედებს. მინდოდა, რომ გვყავდეს უფრო ნაკლები იურისტები და მეტი ინჟინრები. ვფიქრობ, რომ ამერიკის ისტორიაში უფრო ხშირად იყო სიკეთის და არა ბოროტების ძალა; არ მაქვს ილუზიები ჩვენს მტრებთან დაკავშირებით და სათანადოს მივაგებ ჩვენი სამხედროების მამაცობასა და პროფესიონალიზმს. ჩემთვის მიუღებელია პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ რასობრივ ან სქესობრივ ნიშნებს, სექსუალურ ორიენტაციას ან მსხვერპლის კომპლექსს ეფუძნება. მიმაჩნია, რომ ღარიბი რაიონების ბევრი პრობლემა წარმოიშვება კულტურის კრიზის გამო, რომელიც გადაილახება არა მხოლოდ ფულით, და რომ ჩვენი ღირებულებანი და ჩვენი სულიერი ცხოვრება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი მთლიანი ეროვნული პროდუქტი.

უეჭველია, ასეთი შეხედულებანი მშვიდი ცხოვრების საშუალებებს არ მომცემენ. მე ახალი სახე ვარ პოლიტიკურ სცენაზე და ჯერ კიდევ შემიძლია ვიყო ის ეკრანი, რომელზეც სრულიად სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის ადამიანებს შეეძლებათ მოახდინონ თავიანთი შეხედულებების პროეცირება. ამ მხრივ ბევრს გავაწბილებ, თუ ყველას არა. ამიტომ ჩემი წიგნის მეორე, თუ ძირითადი არა, მიზანია, გიამბოთ იმის შესახებ, თუ მე ან სხვა ვინმეს ოფიციალურ თანამდებობაზე შეუძლია უარი თქვას ლიდების ცდუნებაზე, არ ისწრაფოდეს ყველას გულის მოგებისკენ, არ ეშინოდეს დანაკარგებისა, არ მოაშთოს თავის თავში ჭეშმარიტების მარცვალი, გაიგონოს წყნარი ხმა, რომელიც გვახსენებს ჩვენს მისწრაფებებსა და მიზნებს.

ამას წინათ, როცა სამსახურში გავრბოდი, რეპორტიორმა ქალმა გამაჩერა, ერთ-ერთმა მათგანმა, ვინც მთავრობის მუშაობას აშუქებს და მითხრა, რომ სიამოვნებით წაიკითხა ჩემი პირველი წიგნი. „მინდოდა, – თქვა მან, – რომ ასევე საინტერესოდ დაგეწერათ მეორე წიგნიც“. ესე იგი მხედველობაში ჰქონდა: „მინდოდა, რომ შეგძლებოდეთ დარჩეთ ასეთივე პატიოსანი ამერიკის შეერთებული შტატების სენატორის პოსტზეც“.

მეც ასე მინდოდა. იმედი მაქვს, ეს წიგნი გაამართლებს ჩემს მოლოდინს.

## თავი III

### ღირებულებანი

თეთრი სახლი პირველად 1984 წელს ვნახე. მაშინ ახალი დამთავრებული მქონდა კოლეჯი და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ქალაქის კოლეჯში ვმუშაობდი გარლემის კამპუსის ორგანიზატორად. პრეზიდენტი რეიგანი იმ დროს აქტიურად უწყობდა ხელს სტუდენტებისთვის დახმარების შემცირების პროგრამას, და მე მჭიდროდ ვთანამშრომლობდი სტუდენტთა ლიდერების ჯგუფთან – ძირითადად შავკანიანებთან, პუერტორიკელებთან, აღმოსავლეთ ევროპიდან გამოსულებთან, რომელთაგან ბევრი პირველები იყვნენ თავიანთ ოჯახებში, ვინც უმაღლეს განათლებას იღებდა, – ჩვენ ვწერდით პეტიციებს ამ შემცირებების წინააღმდეგ და ვუგზავნიდით მათ კონგრესის დელეგატებს ნიუ-იორკიდან.

მაშინ ყველაფერი ძალიან სწრაფად დამთავრდა; ყველაზე მეტი დრო წაიღო იმან, რომ დავეხეტებოდით რეიბერნ-ბილდინგის უსასრულო დერეფნებში და ვაღწევდით კაპიტოლიუმის თანამშრომლებთან კეთილმოსურნე, თუმცა წამიერ აუდიენციებს. ბევრი მათგანი ოდნავ უფროსი იყო ჩემზე. დღის ბოლოს სტუდენტებმა და მე მაინც შევძელით გაგვევლო ესპლანადით ჯორჯ ვაშინგტონის მემორიალამდე და იქ ცოტა ხანს დავიცადეთ, შევხედეთ თეთრ სახლს. პენსილვანიის ავენიუზე, რამდენიმე ნაბიჯზე მთავარი შესასვლელის საზღვაო ქვეითი ნაწილის პოსტიდან, ფეხით მოსიარულეთა შორის, თავიანთ საქმეებზე რომ მიიჩქაროდნენ, და ზურგს უკან მიმქროლი მანქანების ხმაურში, მე იმდენად არა თეთრი სახლის ელეგანტურობა მხიბლავდა, რამდენადაც ვფიქრობდი იმის შესახებ, თუ როგორი ღიაა იგი ქალაქის ფუსფუსისათვის, რა ახლოს შეგვიძლია მივიდეთ კარებთან, შემდეგ კი შემოვუაროთ მეორე მხრიდან და დავტკბეთ მისი როზარიუმით. თეთრი სახლის გახსნილობა ხაზს უსვამს ჩვენს რწმენას დემოკრატიაში, ვფიქრობდი მაშინ. ჭეშმარიტად მიმაჩნია, რომ პოლიტიკური ლიდერები თითქმის ისეთივე არიან, როგორებიც ჩვენ, რომ ისინიც, როგორც ჩვენ, პასუხს აგებენ კანონისა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე.

ოცი წლის შემდეგ თეთრ სახლთან მიახლოება უკვე რთული გახდა. ბლოკ-პოსტები, შეიარაღებული თავდაცვა, მანქანები, სარკეები, ძაღლები, ასაწყობი ღობურები იცავდნენ ორი კვარტალის მთელ პერიმეტრს თეთრი სახლის მიდამოებში. არც ერთ მანქანას სპეციალური ნებართვის უქონლად ახლა არ შეეძლო გასულიყო პენსილვანიის ავენიუზე. სენატში ჩემი ფიცის დადების წინადღეს, ცივი იანვრის საღამოს ლაფაიეტპარკი თითქმის ცარიელი იყო; სანამ გავივლიდი თეთრი სახლის კარიბჭეს და იმას იქით, გზაზე, სულ უფრო და უფრო ვითრგუნებოდი ამის ხილვით.

თეთრი სახლის ინტერიერები ისეთი ბრწყინვალე არაა, როგორც შეიძლება გეჩვენოს სატელევიზიო რეპორტაჟებისა და ფილმების მიხედვით; უფრო სწორად, ის გაგონებს კეთილმოწყობილ, მაგრამ არც ძალიან ახალ საცხოვრებელს, სადაც ღამ-ღამობით, ალბათ, ცივა. და სანამ ფოიეში ვიდექი და ვათვალიერებდი კორიდორებს, გამახსენდა ამ ადგილის მთელი ისტორია – აქ ჯონი და ბობი კენედები დაძაბულად ფიქრობდნენ კარიბის კრიზისის გადასაწყვეტად, ფრანკლინ დელანო რუზველტი სწრაფად კითხულობდა მორიგ რადიოინფორმაციას, ლინკოლნი მარტოდმარტო დააბიჯებდა კორიდორში, მხრებზე რომ ხელისუფლების ტვირთი აწვა, რომელიც ერმა დააკისრა (რამდენიმე თვის შემდეგ მე მომეცა საშუალება, მეხილა ლინკოლნის საძინებელი ოთახი – მოკრძალებული, ძველი ავეჯით გაწყობილი, ოთხფეხიანი საწოლი ფარდით, გეტისბერგის წერილის ორიგინალი, მზრუნველობით რომ იყო შუშის ქვეშ შენახული, და... უზარმაზარი ტელევიზორი ბრტყელი ეკრანით ერთ-ერთ მაგიდაზე. კიდევ იმან გამაოცა: ვის სჭირდება ლინკოლნის საწოლ ოთახში ღამის გათევა და ღამღამობით აქ ტელევიზიის სპორტული არხის ყურება?ძ.

უმალვე შემხვდა თეთრი სახლის თანამშრომელი და მიმაცილა „ტანკში“ – სხდომათა დარბაზში, რომელსაც ასე უწოდეს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს, სადაც იკრიბებოდნენ სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ახლად არჩეული წევრები. ზუსტად თექვსმეტ საათზე გამოაცხადეს პრეზიდენტ ბუშის მოსვლა, ის შემოვიდა და მიზანმიმართული, ენერგიული სახით ავიდა შემაღლებულზე იმ განსაკუთრებული, ზამბარისებური სვლით, რომელიც ყოველთვის არის იმის ნიშანი, რომ იგი კარგ განწყობაზეა და მზადაა ჩაავლოს ხარს ხელი რქებში. ათი თუ დაახლოებით ამდენი წუთის განმავლობაში ის წარმოთქვამდა სიტყვას, ხუმრობდა, მოუწოდებდა ერს გაერთიანებას, შემდეგ კი მიგვიწვია თეთრი სახლის მეორე ბოლოში ჭიქა ღვინოზე და სამახსოვრო ფოტოს გადაღებაზე მასთან და პირველ ლედისთან ერთად.

იმ დროისთვის უკვე საკმაოდ მომშივდა და გავწიე ბუფეტისკენ, სანამ ახალგამომცხვარი კანონმდებლები რიგში დგებოდნენ ფოტოს გადასაღებად. სალათის ლეჭვითა და წარმომადგენელთა პალატის წევრებთან საუბრისას გამახსენდა ორი წინანდელი საუბარი პრეზიდენტთან – როდესაც მან თვითონ დამირეკა და მომილოცა არჩევნებში გამარჯვება და საუზმის დროს თეთრ სახლში, რომელიც მოეწყო ახლად არჩეული სენატორებისთვის. ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც პრეზიდენტი მეჩვენა სალი გონების მეტად სასიამოვნო ადამიანად, რომელსაც ახასიათებს დიდი თავშეკავებულება და ამავე დროს არის საკმაოდ სწორხაზოვანი, რაც დაეხმარა მას ორჯერ გაემარჯვა არჩევნებში; მე მას წარმოვიდგენდი რომელიღაც ავტომანქანების მაღაზიის მფლობელად მეზობელ ქუჩაზე, რომელიც ამავე დროს წვრთნის პატარა ლიგის ბეისბოლის ბავშვთა გუნდს, გამოსასვლელ დღეებში კი ეზოში ამზადებს ბარბეკიუს, ერთი სიტყვით, სავსებით სასიამოვნო მოსაუბრედ, სანამ საუბარი შეეხება სპორტსა და ბავშვებს.

მაგრამ იმ საუზმეზე იყო ერთი მომენტი, როდესაც ერთმანეთს გავკარით მხრები, გავცვალეთ მისალმებები, დავსხედით ადგილებზე, ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი მშვიდად შეუდგა ბეკონიანი ერბო-კვერცხის ჭამას, კარლ როუკი სუფრის მეორე ბოლოში მიირთმევდა მაყვლის დესერტს, და აი აქ პრეზიდენტი შემობრუნდა ჩემსკენ სრულიად მოულოდნელი მხრიდან. ის უკვე მერამდენედ ლაპარაკობდა თავისი მეორე საპრეზიდენტო ვადის ძირითად პრობლემებზე, კერძოდ, ერაყთან ურთიერთობაში იმავე კურსის შენარჩუნების აუცილებლობაზე, ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონის გადასინჯვის, სოციალური დაცვის სისტემაში რეფორმების აუცილებლობის, დაბეგვრის სისტემის ძირეული შეცვლის, მოსამართლეთა არჩევნების დროს ხმის მიცემის პროცედურის შესახებ, – და უეცრად იგი თითქოს შეუერთეს ელექტრო როზეტს. პრეზიდენტი ერთ წერტილს მიაშტერდა; ხმაში გაჩნდა აღელვებული, აჩქარებული ნოტები როგორც მოსდის ხოლმე ადამიანს, ვინც არ არის შეჩვეული, როდესაც აწყვეტინებენ, უბრალოდ ვერ იტანს ამას; თავაზიანობამ ადგილი დაუთმო წინასწარმეტყველის მკაცრ სიჯიუტეს. დავინახე, თუ როგორ უყურებდნენ მას პირში ჩემი კოლეგა-რესპუბლიკელები, ვფიქრობდი საშინელ იზოლაციაზე, სადაც შეიძლება მიგვიყვანოს ხელისუფლებამ და იმის შესახებ, თუ მამებმა – დამფუძნებლებმა როგორ გონივრულად შექმნეს სისტემა, სადაც ეს ხელისუფლება ყოველთვის კონტროლქვეშაა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 218, 220.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ კვირას საქართველოში აღინიშნა „ვარდების რევოლუციის" მეხუთე წლისთავი, რომელსაც თან ახლავს მიხეილ სააკაშვილის პოპულარობის დაცემა რუსეთთან აგვისტოს ომისა და პირველი ოპოზიციური პარტიის გამოჩენის შემდეგ ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით. პარლამენტის ექს-სპიკერი ძლიერი პრეტენდენტია სახელმწიფოში უმაღლეს პოსტზე მომავალი არჩევნების დროს, მიაჩნიათ მეთვალყურეებს.**

# ქართული ოპოზიცია „ნინო" – „მიშას" წინააღმდეგ

საქართველო აღნიშნავს „ვარდების რევოლუციის" ხუთი წლისთავს, იტყობინება „ვაშინგტონ პოსტი". სტატიის ავტორი მიშა ჯინჯიხაშვილი წერს, რომ ამჯერად ხმაურიანი ოფიციალური ზეიმი არ ყოფილა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის პოპულარობა ძლიერ დაეცა ეკონომიკური დაცემისა და იმ გაუგებრობის ატმოსფეროში, რაც წარმოიშვა რუსეთთან დამანგრეველი ომის შემდეგ. ქართულმა ოპოზიციამ, თავის მხრივ, შაბათს გამართა მიტინგი, სადაც მოითხოვდა სააკაშვილის გადადგომას.

„პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ, რომელიც მიეკუთვნება „ვარდების რევოლუციის" სულისჩამდგმელთა რიცხვს, გამოიყენა ეს თარიღი თავისი ახალი ოპოზიციური პარტიის პრეზენტაციისთვის. გაზეთი აკეთებს პროგნოზს, რომ ბურჯანაძე უსათუოდ იყრის კენჭს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში".

„უოლ სტრიტ ჯორნელი", თავის მხრივ, განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მოკავშირე ამჟერად არის ყველაზე სერიოზული კონკურენტი უმაღლესი პოსტისათვის ბრძოლაში, მით უმეტეს, რომ ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად მას უკვე აღარ შეეძლება წამოაყენოს თავისი კანდიდატურა.

ბურჯანაძის რამდენიმე ათასი მომხრე კვირას შეიკრიბა თბილისის ცენტრში სტადიონზე ახალი პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო" დამფუძნებელ ყრილობაზე. საქართველოს პარლამენტის ექს-სპიკერი გამოვიდა სააკაშვილის მკაცრი კრიტიკით: „ხუთი წლის წინათ ქართველმა ხალხმა ანდო ხელისუფლება დღევანდელ ხელისუფლებას, მაგრამ დემოკრატიული განვითარებისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაცვლად დღეს ჩვენ მივიღეთ პირდაპირ საპირისპირო".

რუსეთთან აგვისტოს ომის შემდეგ, რამაც წარმოშვა ასი ათასი ქართველი ლტოლვილი და დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას (ელოდებიან, რომ ზრდა 12,4-დან შემცირდება 3,4 პროცენტამდე მომდევნო წელს), ქართული ოპოზიცია მოითხოვს ვადამდელ არჩევნებს.

ამჟერად რევოლუციის წლისთავის დღესასწაული არ ყოფილა ისეთივე საზეიმო, როგორიც წინა წლებში: რევოლუციამ მალე დაკარგა თავისი ბრწყინვალება, ხოლო ლიბერალიზაცია და ეკონომიკური ზრდა დაფარა ავტორიტარიზმის ბრალდებამ, წერს ფრანგული „ლ. ექსპრესი". თავის ტელემიმართვაში რევოლუციის ხუთი წლისთავთან დაკავშირებით სააკაშვილმა აღიარა, რომ საქართველო გადააწყდა დიდ სიძნელეებს და ძლიერ აგრესორს, მოუწოდა თანამოქალაქეებს ერთიანობა პრობლემების დასაძლევად და რეფორმების გასაგრძელებლად.



ყოფილი მოკავშირეების — სააკაშვილისა და ბურჯანაძის — კავშირს ბზარი გაუჩნდა გასული წლის ნოემბერში მომხდარი უწესრიგობის გამო. მაგრამ საბოლოო დაშლა მოხდა მაისის ბოლოს საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს. კანდიდატების სიაში სააკაშვილმა შეიყვანა აბსოლუტურად ყველა თავისი მომხრე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან". ბურჯანაძემ განაცხადა, რომ მიდის პოლიტიკიდან, მაგრამ რუსეთთან ომის შემდეგ მან განაცხადა, რომ განზრახული აქვს შეუერთდეს ოპოზიციას.

როგორც პრესა იტყობინება, ბურჯანაძე მიზნად ისახავს გათიშული ოპოზიციის გაერთიანებას. ამჟამად შემადუღაბებელ მომენტად შეიძლება იქცეს მხოლოდ დღევანდელ პრეზიდენტთან დაპირისპირება. ქართველთა უმეტესობა უკმაყოფილოა სააკაშვილის „პოლიტიკური მოუქნელობით".

სააგენტოები იტყობინებიან უსიამოვნო ინციდენტის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს პრეზიდენტთან. „ინდეპენდენტმა" როიტერის სააგენტოზე მითითებით აღნიშნა: „სამხრეთ ოსეთის მახლობლად ესროდნენ პრეზიდენტებს". შეხვედრა სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივ საზღვართან აღინიშნა სროლებით, როდესაც ამ ადგილს უახლოვდებოდა ქართველი და პოლონელი პრეზიდენტების კორტეჟი. ინციდენტის შემდეგ საქართველომ და რუსეთმა გაცვალეს ბრალდებები ერთიმეორის მისამართით პროვოკაციაში. ამასთან დაკავშირებით სააკაშვილმა ინტერვიუში აღნიშნა: „მე ჭეშმარიტად არ ველოდი, რომ რუსები გახსნიდნენ ცეცხლს. განზრახ არ მოვინდომებდი საფრთხეში ჩამეგდო პოლონეთის პრეზიდენტის სიცოცხლე. მაგრამ ჭეშმარიტება ის არის, რომ საქმე გვაქვს წინასწარ განუჭვრეტელ ადამიანებთან".

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ქართული მხარე პირველად არ აწყობს პროვოკაციას. „მოიწვიო პოლონეთის პრეზიდენტი თბილისში და წაიყვანო იგი საავტომობილო სეირნობაში სხვა ქვეყანაში — განა ეს პროვოკაცია არ არის?" — სვამს შეკითხვას ლავროვი. მინისტრმა აგრეთვე აღნიშნა, რომ არც რუსეთის, არც ოსეთის მხრიდან სროლები არ ყოფილა.

**პრესის მიმოხილვა**

# სააკაშვილის თაობა

**მინისტრები, არტისტები, ბიზნესმენები. ისინი მოვიდნენ ხელისუფლებაში, რაც სააკაშვილი არჩეული იქნა პრეზიდენტად. მათ სურდათ ძირეულად შეეცვალათ ქვეყანა. დღეს მათი დუელი მოსკოვთან თანდათან აბსურდების თეატრს გვაგონებს.**

მან ყველა ტყვიამფრქვევის ჯერით მოცელა. დიმიტრი სხირტლაძე, რომელსაც კალაშნიკოვი გვერდზე მიუკრავს, თავისი კოლეგების სასიამოვნოდ გამოსახავს ტირანს, რომელიც დგას ოპოზიციონერების წინაშე. რუსეთში, საიდანაც ის ახლახან დაბრუნდა, ეს ქართველი მსახიობი კავკასიელი ჯორჯ კლუნის მანერებით თამაშობს მეტად საეჭვო როლს — ახალგაზრდა იოსებ სტალინის როლს მოსკოვის ტელესერიალში, რომელიც ეძღვნება ხალხთა მამას.



სტალინი და ისტორიის დიდი ეპიზოდი, რასთან დაკავშირებითაც დღევანდელ საქართველოს სურს თქვას თავისი სიტყვა. გორის ცენტრალურ მოედანზე, რომელიც აგვისტოში დაიპყრეს რუსებმა, დღემდე დგას ამ მიწის დიდი შვილის ძეგლი, რომელიც გახდა სსრ კავშირის სისხლიანი მმართველი. სტალინის პირადი ვაგონი, რომლითაც იგი მიემგზავრებოდა იალტის კონფერენციაზე, თვლემს ქალაქის პარკში. „მე ვთამაშობდი ახალგაზრდა სტალინს, მაშასადამე რევოლუციონერს, პიროვნებას, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო ღიმილი და იყო ოჯახთან მიჯაჭვული", — განმარტავს მსახიობი, რომელიც გახდა სარეკლამო სახე ერთ-ერთი სატელეკომუნიკაციო ფირმისა. „როგორც სისხლიანი სტალინი არ განასახიერებდა მთელ რუსეთს, — დაუმატა მან, — ასევე მედვედევი პუტინთან ერთად გვაძლევენ დამახინჯებულ წარმოდგენას თანამედროვეობის შესახებ".

მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც „ვარდების რევოლუციის" ტალღაზე არჩეული იქნა ხმების 95 პროცენტით, არ დაიშურა ძალისხმევა, რათა შეეცვალა სიტუაცია ქვეყანაში. ამ ყოფილმა ადვოკატმა, რომელმაც განათლება მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში და რომელიც ხედავს და უსმენს მხოლოდ ვაშინგტონს და ჰყავს მრჩევლები ბრიუსელში, ლონდონსა და პარიზში, პრეზიდენტად გახდომის შემდეგ დაიწყო საზღვარგარეთ „ევროპული საქართველოს" იდეების პროპაგანდა.

დაიწყო ეკონომიკური რეფორმები, რომლებსაც წარმატებები ჰქონდა. „1990-იან წლებში მოსკოვში ვაწარმოებდი ბიზნესს, იქ მაქვს ძველებურად მჭიდრო კონტაქტები, — ამბობს თბილისის ერთ-ერთი დიდი დეველოპერი ჯუმბერ ხატიაშვილი. — ამიტომ მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენს სისტემას და რუსეთისას არაფერი აქვთ საერთო. აქ ვყიდულობდი მიწის ნაკვეთებს. სამი თვის განმავლობაში ძველი სამთავრობო აუზი გადავაქციე ელიტურ ფიტნეს-კლუბად, რომლის აბონემენტი წელიწადში 3 ათასი დოლარი ღირს. და ეს ყველაფერი აბსოლუტურად გამჭვირვალეა, არ მაკრავს მცველთა არმია. სააკაშვილმა ააღორძინა ქვეყანა".

ხატიაშვილი გვესაუბრება სასტუმრო „მარიოტის" ბარში: „მისმა ადმინისტრაციამ — ახალგაზრდამ და კომპეტენტურმა — გამოიყვანა საქართველოს ეკონომიკა აღმავლობის გზაზე. ამჟერად ეკონომიკა და გამჭვირვალეობა უკვე აღარ არის ცარიელი სიტყვები". აგვისტოს სამხედრო დამარცხების შემდეგ „ეკონომიკური ციებ-ცხელება" ქვეყანაში რამდენადმე შენელდა, ჯუმბერი გვიჩვენებს თავის ბროშურას და ასახელებს პროექტებს: დასახლება უმდიდრესი ადამიანებისთვის თბილისის მახლობლად, ჰიპერმარკეტი ბათუმის სანავსადგურო ქალაქში...

წინა დღით ჩვენ მოვისმინეთ ექსპერტის გაფრთხილება, რომელიც ახლოსაა სოროსის ფონდთან და რომელმაც ბევრი რამ გააკეთა, რათა მიშა ხელისუფლების სათავეში მოსულიყო. „რაც უფრო მეტად ჩაეფლობა ეს თაობა მოსკოვთან დუელში, მით უფრო მეტად მიჰყავს მას დაღუპვისკენ ნაყოფიერი ეფექტი თავისი რეფორმებისა". სამხედრო ხარჯების განუზომელი ზრდა 2005 წლის შემდეგ უკვე ცუდის მანიშნებელი იყო. „სააკაშვილის თაობა" დისკრედიტებული იყო მიშას იანვარში ხელახლად არჩევის დროს მასობრივი ფალსიფიკაციით, შემდეგ კი მისი საბედისწერო გადაწყვეტილებით — დაეწყო 7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის ცხინვალის დაბომბვა.

„მათ დაიწყეს მოქმედება, როგორც სექტამ, ამბობს ბრაზით მათი ყოფილი „თანამგზავრი" ჟურნალისტი მიხეილ ვიგნანსკი. — კომპეტენციის ადგილზე მოვიდა ქედმაღლობა. ის, ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენს წინააღმდეგაა. ქვეყანას წურავენ გაშრობამდე". საქმიანობის უცნაური შედეგია, ვერაფერს იტყვი.

ლელა წურწუმია სააკაშვილის ამ „თაობის" ხმაა, იგი აგვისტოდან ცდილობს დამარცხება წარმოგვიჩინოს ეროვნულ გამარჯვებად. როდესაც თბილისში 2005 წლის 9 მაისს ჯორჯ ბუშს ღებულობდნენ, ეს მომღერალი-პასიონარია ასრულებდა მისთვის სევდიან გაჭიანურებულ სიმღერას „შუტა შანი", რაც ოსმალური იმპერიის კავკასიის კულტურაზე ზემოქმედების კვალია. კიდევ ერთი ტრადიცია. ამჟერად თურქული რუსულის საწინააღმდეგოდ. „ჩვენ კვლავ ბრალს გვდებდნენ იმაში, რომ გვინდოდა შეგვექმნა ახალი საქართველო, — აღნიშნავს ლელა. — რა მოხდა მერე? ქვეყანას ეს აუცილებლად სჭირდებოდა". მისი უკანასკნელი ალბომი მოიწონა პატრიარქმა. „ჩვენ ვოცნებობთ ამერიკის შესახებ არა იმიტომ, რომ ის ძლიერია, არამედ იმიტომ, რომ ეს არის უსაზღვრო შესაძლებლობათა ქვეყანა".

მაგრამ სააკაშვილის ურბანისტული რევოლუცია თბილისში გაურკვევლობას იწვევს. დღევანდელი ხელისუფლების გროტესკული წვლილი ქალაქთმშენებლობაში — შემინული თაღები და შადრევნები — ღიმილს იწვევს. „სიტუაცია სიურრეალისტურია, — ამბობს ერთი ელჩი. — მთავრობამ წააგო ომი, მაგრამ ფიქრობს, რომ ყველაფერი თავის გზით მიდის. და სჯერა ბრწყინვალე მომავლისა".

და გუნდი აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რიტმში. მიშას გუნდმა წააგო ვლადიმერ პუტინთან, მაგრამ მობილურები არ გამოურთავს. თითქმის შუა ღამეა. საპრეზიდენტო რეზიდენციის ცარიელი დერეფნების გავლით ჩვენ შევდივართ გიგა ბოკერიას კაბინეტში. იგი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და პრეზიდენტის მთავარი მრჩეველია. ის მაცივრიდან იღებს ორ ბოთლ „პერიეს". „რუსეთს ჩვენი ჩამოგდება სურს, — აცხადებს სოროსის ფონდის ვეტერანი. — ჩვენ უნდა ვიშრომოთ კიდევ უფრო მეტი ენერგიით, რომ დავიბრუნოთ მოსახლეობის ნდობა. რასაკვირველია, დემოკრატიას ისე ადვილად ვერ აიშენებ. და მაინც რა ცვლილებები უნდა შევიტანოთ იმედის თესლში: რუსული ტანკები, თბილისისკენ რომ გადმოისროლეს, თუ კორუფციის აღმოფხვრა, ლიბერალური დინამიკა, სწრაფვა უკეთესი მომავლისკენ, ქვეყნის გამჭვირვალობისკენ? ჩვენ კვლავ გვესმის გულმოდგინე ხელმძღვანელების სიტყვები. მიშას ხალხს შეუძლია პრესასთან საუბარი. „ჩვენი წყალობით ქართველები კვლავ გახდნენ თავიანთი მიწის, თავიანთი ბედის ბატონ-პატრონები", — აცხადებს გიგა ბოკერია.

**რიშარ ვერლი**

LE TEMPS

(უცხოეთის პრესის მასალები იბეჭდება შემოკლებით).

## პოეზია

# მომავლის აჩრდილი



## ჯანსუღ ჩარკვიანი

### იავ-ნანა, ვარდო-ნანა,

დღეს შორია ილიამდი,
დღეს შორია ვაჟამდი,
ამერიკულ მილიარდით
დაგვიხვრიტეს ლაჟვარდი.
* * *
იმ შავეთის დღიდან ვფიქრობ –
არ ჩანს ბოლო მტრებისა,
ურჯულოა, ვინც დაგვიგო
მახე ბოროტებისა.
* * *
დაგვინგრიეს – ძველი ოდა,
ჩვენ ეშმაკის ხმას ვუხმობთ,
თვალწინ მტერი ზეიმობს და
ჩვენ სიმღერით ვპასუხობთ.
* * *
აღარ შეგვრჩა, არც მტევანი,
არც წყალობის იმედი,
ჩაჟანგული სატევარით
სიკვდილამდე მივედით.
* * *
სანამ გვინდა, აზრი სხვისა
გვქონდეს ყელში გაჩრილი?
ჯოჯოხეთი გვაზის რისხვად
ვით მომავლის აჩრდილი.
* * *
კმარა, გვეყო გართობანა,
სულ ბოლომდის ჩავიძირეთ,
იავ-ნანა...
ვარდო-ნანა...
საქართველო, დაიძინე!

### სამების ტაძართან თქმული

(ბიძინას)

მთლად გადაგვარდა ქართველი,
მაგრამ ისაა მთავარი,
არ არს ხანძრისა დამნთები,
არც მართლის მთქმელი არ არის.
* * *
ან ვის დავუნთებთ ხანძარსა –
იმ გველებსა თუ ამ გველებს?
შენ მაშინ აგებ ტაძარსა,
როცა ქვეყანას ანგრევენ.
* * *
ძველ მტრობას ახლაც
ვერ მოვშლით,
თუმც მტრობით სული შეგვძვრია,
გვახსოვდეს, საქართველოში
მხოლოდ ძლიერ კაცს ებრძვიან.
* * *
ვაზი, მტერმა რომ ვერ გასხლა,
ვხედავ, თვალდათვალ გადახმა,
შენ ერიდები შენს გვარსა, –
ამქვეყნად ვითომ არა ხარ.
* * *
და რომც არავინ არ გვცნობდეს,
მე სხვა სიყვარულს არ ველი,
სამება გახლავს, გახსოვდეს,
შენი და ჩვენი მფარველი.

### ღალატი

უკან მეწყერი, მაგრამ წინ წყალი,
გაუგებრობის კოშკი ავიგე,
„უმრავლესობა“,
ვიცი, ვინც არის, –
„ოპოზიციის“ ვერა გავიგე.
* * *
შეხედეთ, მტერი როგორ იცინის, –
რაიც მოყვრის გულს უმალ ესობა,
დიდი ნაწილი ოპოზიციის
ყოფილა თურმე უმრავლესობა.
* * *
თუმც შეუძვრომში თარსად შეძვერო,
კიდევ პატარა დრო მომიცია,
„უმრავლესობის“
სვამს სადღეგრძელოს,
სუფრის თამადა „ოპოზიცია“.
* * *
დღეს, ყველაფერი არის ნათელი,
მამულის სევდაც დაგვკვნინებია,
რაც მთავარია, მე ვარ ქართველი
და არც ღალატი გამკვირვებია.
* * *
შეხედეთ, წელში გავიმართენით,
შერიგებისკენ მიგვყავს კამათი,
ვაშა, ქართველო!
ტაში, ქართველო! –
არ დაგავიწყდეს სიტყვა –
„ღალატი“.

### რუსო, სვანებს შეეშვი

უშბა, შხარა, შხელდა და
მზისა შვილი თეთნულდი...
არა, არ აშენდება,
რაიც ჩვენ არ გვეკუთვნის.
* * *
გუთანია მეგუთნის,
დღეს ვჭვრეტ ნათლად შემოსილს,
ლილეო მზეს ეკუთვნის, –
მზეა საქართველოსი.
* * *
ჩვენც ჩვენს დიდ ტვირთს
მივათრევთ,
სააქაო ძვირია,
ღმერთო, შენი სიმართლე
ტვირთზე უფრო მძიმეა.
* * *
მთავარია მართლებთან
იყოს პურის სიუხვე,
ღმერთმა იცის, ქართველთა
გზანი ვისკენ მიუხვევს.
* * *
ვიყოთ არვის მძევალი,
მთავარია, ვიყოთ დღეს,
მთავარია, მწვერვალებს
სიყვარული იპყრობდეს.
* * *
შენ უშბიდან მოდიხარ,
შენ მოდიხარ შხარადან,
შენ ვიღაცა როდი ხარ,
მტერს აზიხარ შხამადა.
* * *
კვლავ გინთია ლამპარი,
შენი ლოცვა ღმერთს უდრის,
შენი მამა-პაპანი
შხელდაა და თეთნულდი.
* * *
ღმერთის ჰქვია მთელ მოდგმას,
სამება კვლავ სამეობს,
ვაშა თქვენს ქართველობას
დიდებულო სვანებო.
* * *
თქვენმა მზემ დაუბნელოს
მტერსა თვალი მტარვალის,
მტრის წინაშე, ღრუბელო,
ერთგულებო თამარის.
* * *
და ვით რწმენით უვლია
ქართველს, ცისკენ გაფრენილს,
მჯერა, შენში გულია
უღალატო ქარველის.
* * *
მტერს დაახრჩობთ ღელეში,
რწმენით და საფიცარით...
რუსო, სვანებს შეეშვი,
სვანმა იცის, ვინც არი.

### დრო

დრო არა სჩანს –
შეშფოთების, შეძვრის,
ერთი ყვავი
მეორე ყვავს ებრძვის,
ამ ცხვარშიაც
ვერ ვიპოვე ვერძი,
ვართ ყველანი
სიძულვილის კერძი.

2008 წლის ნოემბერი

## მახვილი ზურგში

**_აგვისტოს აგრესიამდე, რუსეთის ხელისუფლება აქტიურად მოქმედებდა საქართველოს, როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის წინააღმდეგ. ცდილობდა ამ ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის მოქალაქე სხვა ეთნოსების გამოყენებას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა და კეთდება სომეხი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონზე. რუსების მთავარი დამრტყმელი ძალა, პოლიტოლოგთა გადმოცემით, მათ მიერ დაფინანსებული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ერთიანი ჯავახკია“. არსებულ დაპირისპირებას „ნაციონალური“ ხელისუფლება მალავდა, ფაქტებს აჩუმათებდა. მაგრამ როგორც კი რუსული აგრესიის პირველმა (ანალიტიკოსთა მოსაზრებით) დარტყმამ ჩაიარა, საქართველო სხვისი ხელის შემყურე და უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რუსმა პოლიტიკოსებმა „ჯავახკისგან“ ავანსების დაბრუნება მოითხოვეს._**

# ახალი „ფრონტი“ ახალქალაქში

### რას ითხოვენ რუსები „ჯავახკისგან“?

ამ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციასა და რუსული პოლიტიკური ელიტის მიზნები თანხვედრია. თუ ჩრდილოელები ყოველმხრივ ცდილობენ საქართველოს დასუსტებას, „ჯავახკი“ აპირებს მთელი რეგიონი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარონ. მათი მიზანი 1918-20 წ.წ. „დაშნაკების“ პროგრამის განხორციელებაა – შექმნან „დიდი სომხეთის“ სახელმწიფო. ამისათვის მთავარია ჯავახეთი საქართველოს გამოგლიჯონ. ჩანაფიქრის განხორციელებას ისინი რეგიონში მასობრივი არეულობითა და სახალხო აქციებით გეგმავენ. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, რეგიონში, კერძოდ კი ახალქალაქში არეულობებია. სიტუაცია უმართავს უახლოვდება, ცენტრალური ხელისუფლების ადგილებზე დანიშნულ სომეხი ეროვნების თანამდებობის პირებს „ნაცის მოღალატეებს“ უწოდებენ. სამართალდამცავების კანტი-კუნტ გაბრძოლებას წესრიგის დასამყარებლად შეიარაღებული წინააღმდეგობით უპირისპირდებიან. ერთ-ერთი ამგვარი შეტაკების დროს ადგილობრივი „ჯავახკის“ ახალგაზრდული ფრთის ლიდერმა გურგენ შირინიანმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა სამცხე-ჯავახეთის პოლიციის სომეხი წარმოშობის თანამშრომელი. ეს გახდა მიზეზი ახალქალაქში უკმაყოფილების ახალი ტალღის აგორებისა. მკვლელი ცნობილია, მაგრამ იგი იმალება. დაკავებულნი არიან ანტიქართული პროპაგანდის აქტივისტები და წამქეზებლები, შირინიანის მამა და დედა. მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიების მსვლელობის დროს დააკავეს ერთიანი „ჯავახკის“ ლიდერი ვააგან ჩალასიანი და რამდენიმე მისი თანამოაზრე.

როგორც ჩვენი პოლიტოლოგები და ანალიტიკოსები ამტკიცებენ, „ჯავახკს“ რუსი პოლიტიკოსების გარდა ერევანში ჰყავს მხარდამჭერები. სხვა მხრივ ექსპერტებს ვერ წარმოუდგენიათ სომხურ საიტზე Bagin inFo-ს განცხადების გამოჩენა, სადაც ქართველებს საქართველოს რუსი მოქალაქეების დევნა-შევიწროებაში ადანაშაულებენ. საიტზე სამცხე-ჯავახეთის დაცვის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ: **„სამცხე-ჯავახეთში (და არა ჯავახეთში), ახალქალაქში ახალგაზრდა სომხების მიმართ ანხორციელებენ პროვოკაციებს. ქართული ხელისუფლება სომეხი ეროვნების მსახურთა საშუალებით გადავიდა პატრიოტულად განწყობილი და სამშობლოს ერთგული ახალგაზრდა სომხების ლიკვიდაციის პროგრამის ამუშავებაზე. ამის შედეგად გურგენ შირინიანმა, რომლისკენაც იყო მიმართული ქართველების დარტყმა, პოლიციელებს თავდაცვის მიზნით ცეცხლი გაუხსნა. შედეგად დაიღუპა სომხური წარმოშობის პოლიციელი... ამჟამად ჭეშმარიტი პატრიოტი შირინიანი ჯავახეთის მთებში იმალება, სადაც იგი ქართველი პოლიციელებისათვის მიუწვდომელია. ჩვენ მის დაკავებას არავის დავანებებთ. დევნილობაში ყოფნის დროს კი ჯეროვან ყურადღებასა და ყველანაირ დახმარებას არ მოვაკლებთ. ახალქალაქშივე ქართველების მიერ დაკავებულია „ერთიანი ჯავახკის“ ხელმძღვანელი ვააგან ჩალასიანი და რამდენიმე მისი თანაპარტიელი.**

**კომიტეტს თურმე ისიც აღაშფოთებს, რომ ქართული ხელისუფლება არაადეკვატურ, მაგრამ რაღაც ღონისძიებებს მაინც ანხორციელებს სეპარატიზმის მთესველების წინააღმდეგ. კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მდაბიური გზებით შეძლო, განეხორციელებინა სომეხი ერის დარბევა დამონებული ჩინოვნიკების, ეროვნებით სომხების საშუალებით. ეს კი ახალგაზრდა სომხებს ხელს უშლის კონტრდარტყმის განხორციელებაში“.**

პოლიტოლოგები და ანალიტიკოსები „ჯავახკის“ ლიდერების თავხედურ ტონს ძალების მხარდაჭერას, წამქეზებლურ პოლიტიკას მიაწერენ – **„კომიტეტი მოუწოდებს სამცხე-ჯავახკისა და მთელი მსოფლიოს სომხებს, გამოიღვიძონ და საქართველოს ოკუპირებული ხელისუფლების წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლა წამოიწყონ. დადგა დრო, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი უნდა ვუწოდოთ და გავიგოთ, რომ ოფიციალური თბილისი სამცხე-ჯავახკსა და სომხეთის მიმართ მტრულ პოლიტიკას ანხორციელებს. ყველა იმ ადამიანს, ვინც საქართველოს ხელისუფლების მითითებით მოქმედებს, ამ ქვეყნის კანონებს ემსახურება, თავისი წვლილი შეაქვს ანტისომხურ პოლიტიკაში და ისინიც ჩვენი ერის მტრები არიან. ისინი განსაკუთრებით უნდა დაისაჯონ. სამცხე-ჯავახკის სომხებმა უნდა იცოდნენ, რომ მთელი სომეხი ერი ჩვენი სამშობლოს, ამ კუთხის შვილების უკან დგას. ვიყოთ ძლიერები, არ დავინდოთ მოღალატეები ჩვენს რიგებში და მივიღოთ გამარჯვების გვირგვინი“.**

ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს არის გარედან მართული და კარგად დაფინანსებული სეპარატისტული ორგანიზაციის სერიოზული განცხადება, რასაც ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად მომზადებული კონტრზომები უნდა შეაგებოს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდება ახალი ცხელი ეთნოზონა, რომელიც შემდგომ ბევრად უფრო მეტ თავსატეხს გაგვიჩენს. ამის მაგალითები უახლოეს წარსულში უკვე გვქონდა.

### რას აკეთებს ხელისუფლება?

**მანუჩარ მენაბდე (ისტორიკოსი):** საქართველოს ტერიტორიაზე თვალი თითქმის ყველა დროის სომეხ სახელმწიფო მოღვაწეებს ჰქონდათ დადგმული. სურვილის დაკმაყოფილებას ყველა სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის პერიოდში, როდესაც ჩვენ, სომხებმა და აზერბაიჯანმაც დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ (რუსეთის იმპერიის დაშლის შემდგომძ, განსაკუთრებით საშიშნი გახდნენ სომეხი ნაციონალისტ-ტერორისტები. გასული საუკუნის დასაწყისში, რუსი დიპლომატი ვლადიმერ მაევსკი წერდა: „სომხური ფარული ორგანიზაციების მთავარი იარაღი ტერორია. ეს უხილავი საშიშროებაა, რომელიც ემუქრება ყველას ვინც მათ არ ეთანხმება და კიცხავს“. ჩვენს პროფესიონალიზმთან და წარსულის ანალიზთან მყოფ დღევანდელ ხელისუფლებას ნამდვილად სჭირდება ისტორიული დამოუკიდებლობის ღრმა ანალიზის გაზიარება“.

სინამდვილეში კი ხდება ის, რომ სამცხე-ჯავახეთი ნელ-ნელა გამოდის იურისდიქციიდან. ცენტრიდან დანიშნულები მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ ლიდერების პიროვნული ინტერესების გამვლელებად გვევლინებიან. ანტიქართულად განწყობილი გამოყოფის მომთხოვნი ადგილობრივი ორგანიზაციები ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც იდეოლოგიურად, ასევე შეიარაღებულად აღჭურვავენ სომეხ მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. ქართული აღარ არის სახელმწიფო ენა, ახალქალაქში სასამართლო სხდომები სომხურად მიმდინარეობს. ოქმები რუსულად იწერება. ქართველ კაცს სომეხი მოსამართლის ქართულის არ ცოდნის გამო ხშირად თარჯიმნის დაქირავება უწევს (?!ძ ასეთ მძიმე დროს კი ხელისუფლება მერაბიშვილის დედის ქათმების ქურდებს დასდევს.

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

### გაიხსნა ახალი ფილიალი

ვაკეში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში, ე.წ. ლეჩკომბინატში თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალი ფილიალი გაიხსნა.

როგორც „სასწრაფო სამედიცინო დახმარების პრესცენტრის ხელმძღვანელმა თამარ ჩეჩელაშვილმა განაცხადა, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე შენობაში ვაკის, ვერის და მთაწმინდის უბნების ნაწილს სამი ბრიგადა მოემსახურება.

ახალ ფიალიალში 48 ექიმი იმუშავებს.

ინტერპრესნიუსი



ძიუდო

# 3 „ბრინჯაო“ 3 დღეში



**ზაგრებში სამ დღეს გრძელდებოდა 23 წლის ძიუდოისტთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა ბორის ფირცხელიანის ხელმძღვანელობით.**

ასპარეზობის პირველ დღეს 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში უჩა ხუციშვილმა ჯერ იუკოთი მოუგო იტალიელ იური კონტეგრეკოს, შემდეგ 38 წამში სძლია სერბ ფილიპ კრიჟანს, 22 წამში – ბულგარელ მარტინ ივანოვს და ნახევარფინალში გავიდა, სადაც რუსეთელმა ქამალ ხან-მამედოვმა აჯობა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ესპანელ დავიდ რამირესს დააყრევინა ფარ-ხმალი.

81 კილოში პირველსავე წრეში დამარცხდა გიგა წიკლაური გერმანელ სვენ მარეშთან, სამაგიეროდ, დამამშვიდებელ ჯგუფში ზედიზედ მოუგო ლიტველ რადვილას მატუკასს, მოლდოველ ვალერიუ დუმიცას, უნგრელ ლასლო სოკნიაის, ფინელ ანტი ვირტას და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ასევე მესამე იყო 100 კილოში დავით ლორიაშვილი. ნახევარფინალამდე მან დაუბრკოლებლად ჩამოიცილა გზიდან ბოსნიელი გორან კომლენოვიჩი, სლოვაკი მარტინ იანიტა, უნგრელი ბალინტ ფარკაში. მეოთხე პაექრობაში უკრაინელ ვიაჩესლავ დენისოვთან მარცხის შემდეგ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში პოლონელ კასპერ ლარემს სძლია.

ბეთქილ შუკვანი (60 კგძ, თენგიზ პაპოშვილი (73ძ, გიორგი ეპიტაშვილი (90ძ და ადამ ოქრუაშვილი (მძიმე წონაძ კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

ჭიდაობა

# ფილას რჩეული

**გერმანიის ქალაქ ეფენში მწვრთნელთა სემინარებზე ინსტრუქტორად იყო მიწვეული საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია, რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ 2008 წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარა.** ეს არ არის შემთხვევითი: 45 წლის დარჩია (დაიბადა 1963 წლის 14 თებერვალსძ 15 წელიწადია ჩვენი ქვეყნის ნაკრებს უდგას სათავეში, თავადაც სასახელო ფალავანმა, საქართველოს შვიდგზის ჩემპიონმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ვერცხლისა და ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა 1989 წელს სსრკ-აშშ ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. მწვრთნელობისას არაერთ ახალგაზრდას გაუკაფა გზა დიდი სარბიელისკენ, მანუჩარ კვირკველიამ კი პეკინის ოლიმპიადის ოქროს მედალი დაიმსახურა.



ალალია დარჩიაზე წლის საუკეთესო მწვრთნელობა.

ხელბურთი

# ზაზა დოლიძე უთავკაცებს

**საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 3 პრეზიდენტი გამოიცვალა. ამჯერად თავკაცად ყოფილი ხელბურთელი და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძე აირჩიეს, რომელიც, რამდენიმე წელიწადია, თბილისის მერიის სპორტის სამსახურს უდგას სათავეში.**

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე, რომელმაც დელეგატებს აუწყა, რომ უსახსრობის გამო საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ვერ ასპარეზობს, რაც მეტად გულდასაწყვეტია. მომხსენებელმა დადებით მომენტებზეც გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, აღნიშნა, რომ ნორვეგიაში სტაჟირებაზე იმყოფებოდნენ ქართველი მწვრთნელები, ხოლო გოგონებმა იქაურ ახალგაზრდულ ჩემპიონატში იმსაჯეს...

დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ფედერაციის პრეზიდენტად ზაზა დოლიძის კანდიდატურას, რომელიც ამ ორგანიზაციას ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. გენერალურ მდივნად კვლავ ზურაბ კაკაბაძე აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტების დასახელებისგან დროებით თავი შეიკავეს.



სიტყვით გამოსვლისას ზაზა დოლიძემ აღნიშნა, რომ ფედერაციის მიზანი იქნება, უახლოეს მომავალში ეროვნული გუნდი 1997-2001 წლების დონემდე ამაღლდეს. რაც მთავარია, გაისად რამდენიმე კეთილმოწყობილი დარბაზი ჩადგება მწყობრში და ნაკრებს ბაზის, ამასთანავე, ფინანსური პრობლემები არ შეაწუხებს.

ინტერნეტიდან

## ას მილიონად დავბრუნდებიო...

**ასე განაცხადა მძიმე წონაში ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა, ბრიტანელმა მოკრივემ ლენოქს ლუისმა. როგორც ჩანს, იგი მზადაა, დაბრუნდეს რინგზე და შეებრძოლოს ვიტალი კლიჩკოს.**



ალბათ გახსოვთ, ლენოქსმა დიდი სპორტი, მოკრივის კარიერა მიატოვა 2003 წელს სწორედ ვიტალი კლიჩკოსთან ძალზე მძიმე გამარჯვების შემდეგ. მაშინ მსაჯებმა ბრძოლა შეაჩერეს მე-6 რაუნდის შემდეგ, რადგან უკრაინელ მოკრივეს წარბი გაუსკდა, კლიჩკო იმ მომენტში ქულებით წინ იყო. ლუისს გამარჯვება ჩაუთვალეს ტექნიკური ნოკაუტით, რადგან ტრავმა გამოიწვია ნებადართულმა მძლავრმა დარტყმამ.

## ჩემპიონთა ლიგაზე იმსაჯებენ




**ევროპის ერთ-ერთ უმთავრეს საფეხბურთო ტურნირზე – ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ გათამაშებაში დარჩა მე-5 ტურის ბოლო 8 მატჩი. ისინი დღეს, ოთხშაბათს გაიმართება. უეფამ დანიშნა ამ ორთაბრძოლების მსაჯები. აი, ისინიც:** **„ბორდო“ – „ჩელსი“** – ფრანკ დე ბლეკერე (ბელგიაძ, **„კლუჟი“ – „რომა“** – კორტეშ ბატიშტა (პორტუგალიაძ, **„ინტერი“ – „პანათინაიკოსი“** – ტომ ჰენინგ ევრებე (ხორვატიაძ, **„ანორთოსისი“ – „ვერდერი“** – მანუელ ერიკე მუხუტო გონსალესი (ესპანეთიძ, **„სპორტინგი“ – „ბარსელონა“** – მატეო სიმონე ტრეფოლონი (იტალიაძ, **„შახტარი“ – „ბაზელი“** – კრისტინ იაკობსონი (ისლანდიაძ, **„ლივერპული“ – „მარსელი“** – ოლეგარიუ ბენკერენსა (პორტუგალიაძ, **„ატლეტიკო“ – პსჟ** – მასიმო ბუზაკა (შვეიცარიაძ.

## ფეხბურთი ხუთი მსაჯით?

**სლოვენიასა და უნგრეთში ჩატარებული ტესტების შემდეგ ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირმა – უეფამ – გააგრძელა ექსპერიმენტი ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებების მატჩებზე დამატებით კიდევ ორი მსაჯის გამოყენების თაობაზე.** მორიგი ასეთი საექსპერიმენტო მატჩი გაიმართა შაბათს – ერთმანეთს ხვდებოდნენ კვიპროსისა და ჩეხეთის ჭაბუკთა ნაკრებები. მთავარი მსაჯისა და ორი მისი თანაშემწის გარდა ბრიგადაში იყო კიდევ ორი მსაჯი. ისინი კარს უკან დგებიან და აკვირდებიან საჯარიმო მოედანზე მიმდინარე პერიპეტიებს.



„ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, – თქვა უეფას მსაჯთა კომიტეტის წევრმა ჰიუ დალასმა, – მაგრამ შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა. მაგალითად, არ გადაგვიწყვეტია, თუ ამ დამატებითმა მსაჯებმა როგორ უნდა აცნობონ მთავარ მსაჯს დარღვევათა შესახებ – სასტვენით, დროშით თუ ურთიერთკავშირის სისტემით.

## შვილი პელესგან უნდა!

**ამას ამბობს ცნობილი მოდელი დებორა სალვალაჯაო. დიახ, პელესაგან, მაგრამ არა „ფეხბურთის მეფედ“ ცნობილი ბრაზილიელისგან, არამედ მილანის „ინტერის“ ყოფილი ფეხბურთელის ხუგო გომეშ პასოსაგან, რატომღაც მეტსახელად პელე რომ დაირქვა.** მათ ერთმანეთი გასულ გაზაფხულზე მილანში გაიცნეს. 21 წლის პორტუგალიელმა, ადრე „ბენფიკასა“ და „შიტორიაში“ რომ თამაშობდა, 5-წლიანი კონტრაქტი „ინტერთან“ გააფორმა, მაგრამ ბედის უკუღმართობით ისევ პორტუგალიაში დაბრუნდა და ახლა „პორტუში“ თამაშობს.

მართალია, ახლა შეყვარებულები სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, მაგრამ მათი დამოკიდებულება არ შეცვლილა, თუმცა ცოლ-ქმრობაზე მაინც და მაინც არ ლაპარაკობენ. საპატარძლო თეთრ საქორწინო კაბაზე ოცნებობს, მაგრამ ბავშვზე ლაპარაკს ერიდება. სექსზეკი – ლაპარაკს არ ერიდება, „სექსი ძალზე მნიშვნელოვანია! თუკი საწოლზე უარს იტყვი, ამით ურთიერთობაც უმალ მთავრდება“. განა მართლა ასეა?!



უსიტყვოდ



ამირან ერაძის ნახატი

## ცხრა მთას იქით — ჩვენზე



**„ვაშინგტონ ქლაბი“, იგივე საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო, აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი არაპარტიული და არაკომერციული ორგანიზაცია ყოფილა. სწორედ ამ საბჭოს წევრებს შეხვდა, დაგეგმილი ღონისძიებების სახით, ამას წინათ აშშ-ში ჩასული რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი (მკითხველს შევახსენებთ, რომ 14-15 ნოემბერს ვაშინგტონში მოეწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების „ოცეულის“ ლიდერთა შეკრებაძ.**

# გაბუტული დიმიტრი და მომღიმარი მადლენი

მოკლე გამოსვლისას რუსეთის სახელმწიფოს მეთაურს აღუნიშნავს, რომ ბოლო ხანს აშშ-სა და რუსეთს შორის ნდობის კრიზისის წარმოქმნა შეიმჩნევა, თუმცა იმედოვნებს, რომ ხელისუფლებაში ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მოსვლით ის დაძლეული იქნება.

შემდეგ მედვედევს დარბაზის, აგრეთვე აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის შეკითხვებზე დაუწყია პასუხის გაცემა (ქალბატონი მადლენი გამოსულა, როგორც ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას წარმომადგენელი და დისკუსიის წამყვანიძ.

რუსეთის პრეზიდენტს განუცხადებია, რომ მისი ქვეყანა ვერ შეურიგდება თავის საზღვრებთან ნატოს მოახლოებას, მაგრამ მზად არის ალიანსთან თანამშრომლობისთვის. **აი, საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობას კი ის, მედვედევი, დანაშაულებრივად მიიჩნევს და რაიმე მოლაპარაკებაზე უარს ეუბნება.** ამასთან ჩრდილოელ ლიდერს ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ **რუსეთი უწინდებურად თანახმაა სამხრეთ ოსეთში მომხდარი ამბების საერთაშორისო გამოძიების ჩატარებისა.**

გავკადნიერდები და „ჩავერევი“ საქმეში. აბა, სად მე და სად „ვაშინგტონ ქლაბის“ დარბაზი, მაგრამ იქ რომ ვყოფილიყავი, ვკითხავდი:

— ეგ ჰო, დიმიტრი-ბატონო, მაგრამ სამხრეთ ოსეთის მილმა დარჩენილ საქართველოში რუსეთის მიერ დატრიალებული ამბების საერთაშორისო გამოძიებაზე თუ ხართ თანახმა-მეთქი? თქვენ იგავმიუწვდომელ აგრესიას ასეთი გამოძიება არ სჭირდება-მეთქი?..

...თუმცა განვაგრძოთ „რეპორტაჟი“ იმ დარბაზიდან.

— მე ერთგვარი ოპტიმიზმით შევცქერი რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების მომავალსო, — უთქვამს ბოლოს მედვედევს. — რუსეთში ასეთი ახალგაზრდა და წარმატებული პრეზიდენტები ჯერ არ ყოფილან და მე, როგორც არცთუ ახალგაზრდა მანდილოსანი, გისურვებთ ყოველივე კარგსო, — გაუღიმია მისთვის ოლბრაიტს ხელის ჩამორთმევით განშორებისას.

...ასეა, ჩემო ბატონო, რუსეთს უკვე ტაშს უკრავენ და უღიმიან ევროპაში, ტაშს უკრავენ და უღიმიან ცხრა მთას იქით, ამერიკაში... შენი „ვახტანგი“ კი, როგორც ყოველთვის, როგორც ადრეც, მარტო „ლუდოვიკო XIV-ის“ კი არა, ყველას ფეხებზე ჰკიდია.

...რა ვქნა ახლა მე, არ გავიტეხო გული? შეიმოსება ვითომ მუხა კვლავაც? როდისღა?..

**თამაზ ებანოიძე**

## წიგნი

# ფრთხილად, დენია!

## ქარიც გაგვითბობს სახლებს...

საქართველოს ეროვნული ენერგეტიკის აკადემიის წევრი, სტუ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის უფროსის **თენგიზ მუსელიანისა** და სტუ-ს ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის დოცენტის **გიორგი დოლაბერიძის** ერთობლივი ავტორობით გამოიცა ახლახან საკმაოდ სქელტანიანი წიგნი სათაურით: **„შესავალი ელექტროტექნიკაში“.**

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროტექნიკის მეცნიერება რთული დარგია, წიგნი მარტივი და ყველასთვის გასაგები ენითაა დაწერილი, რაც საშუალებას გვაძლევს არასპეციალისტებიც კი საკმარისი სიღრმით ჩაწვდეთ ტექნიკის მუშაობის პრინციპებს და შევძლოთ მათი უსაფრთხო ექსპლუატაცია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონები თენგიზ მუსელიანი და გიორგი დოლაბერიძე მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოს, გამოგონების ავტორები არიან. ამიტომაც მათ ჰქონდათ უფლება ემუშავათ და გამოეცათ ასეთი წიგნი.

ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, ვინც ამ მეცნიერებითაა დაინტერესებული, „შესავალი ელექტროტექნიკაში“ დიდ სამსახურს გაუწევს. წიგნი მრავალ მნიშვნელოვან კითხვას სცემს ამომწურავ პასუხს, ამიტომაც, პრაქტიკულად, თითოეული ოჯახის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს.

თუკი ელექტროენერგია მართლაც არის კაცობრიობის ბედნიერი მომავლის გარანტია, აუცილებელია, რომ მოსახლეობა მისი უსაფრთხოდ გამოყენების კულტურას საყოველთაოდ დაეუფლოს.

**ლია ჭიღლაძე**




## ინფორმაცია

# „ივერიის“ გადაცემები — ინტერნეტში

„ივერიის“ გადაცემების ნახვას მაყურებელი უახლოეს დღეებში ინტერნეტის საშუალებით შეძლებს. ამის შესახებ ტელე-მაუწყებლობა „ივერიის“ ხელმძღვანელმა, გიორგი ანდრიაძემ განაცხადა.

„ივერიის“ ხელმძღვანელი მიმართავს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს ვისაც შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობა გააჩნია, დაეხმაროს ტელეკომპანიას იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს „ივერიის“ სატელიტური მაუწყებლობა.

„ივერია“ კანონით დაშვებული ყველა ფორმით მოითხოვს სამაუწყებლო სიხშირეს.

ჯი-ეიჩ-ენი

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ორი თვეა ვიმყოფები შვილთან ქუთაისში, ძირითადად ვცხოვრობ თბილისში, ვარ პენსიონერი და პენსიას შემნახველი ბანკიდან ვიღებ, რომ ვერ მივაკითხე ეს ორი თვე, შემიწყდება პენსიის გაცემა?**

**ბელა ანანიაშვილი**

**პასუხი:** არა არ შეგიწყდებათ და არც შეგიჩერდებათ, თუ იმ დღიდან, რაც ბოლოს მიიღეთ პენსია არა უგვიანეს 6 თვის განმავლობაში დაბრუნდებით თბილისში, თქვენ კუთვილ პენსიას შემნახველი ბანკიდან შეუფერხებლად მიიღებთ.

* * *

**კითხვა: ვარ 57 წლის, 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებული პირი, რომელიც არც ერთი ჯგუფის ინვალიდად არ მცნო სამედიცინო კომისიამ. როდის მოვიპოვებ პენსიის მიღების უფლებას?**

**კობა ობოლაძე**



**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენ როგორც 1989 წელს, ქ. თბილისში მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირს, პენსია დაგენიშნებათ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ.

* * *

**კითხვა: დამსაქმებელმა, რომელთანაც ვმუშაობდით, გამოგვიცხადა ლოკაუტი, ე. ი. დროებით გვითხრა უარი მოცემული სამუშაოს შესრულებაზე. დასაქმებულთა ჯგუფმა გავასაჩივრეთ მისი გადაწყვეტილება. სასამართლომ ჩვენი საჩივარი სამართლიანად ცნო და ლოკაუტი უკანონოდ ჩათვალა. გთხოვთ, გვაცნობოთ, არის თუ არა ვალდებული დამსაქმებელი, აგვინაზღაუროს იმ პერიოდის ხელფასი, როცა ყოვლად უმიზეზოდ არ მოგვცა სამუშაოს შესრულების უფლება?**

**ნანა მოისწრაფიშვილი**

**პასუხი:** დიახ, უნდა გადაგიხადოთ, კანონის თანახმად თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ სცნო, დამსაქმებელი ვალდებულია, აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები.

* * *

**კითხვა: ერთი თვის წინათ გარდამეცვალა ძმა. დარჩა 4 მცირეწლოვანი შვილი. ოჯახს უკიდურესად უჭირს და მე ვარ მათი ერთადერთი დამხმარე. გთხოვთ, მაცნობოთ, რა ოდენობის პენსია ეკუთვნის მცირეწლოვან ბავშვებს, რომელთაგან უფროსი 15 წლისაა?**

**ლამზირა იორდანიშვილი**

**პასუხი:** გირჩევთ, ბავშვებისათვის მამის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნის საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს რაიონულ სამსახურს ბავშვების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ვინაიდან მათ მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში მიმართვის შემთხვევაში, პენსია მამის გარდაცვალების დღიდან დაენიშნებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი — მიმართვის დღიდან. 4 მცირეწლოვანი ბავშვისათვის დანიშნული პენსია საერთო ჯამით 220 ლარი იქნება, ე. ი. თითოეულ ბავშვზე თვეში 55-55 ლარი.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**


## განცხადება

**შპს „ვარციხჰესების კასკადის“ გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებით 2008 წლის 26 დეკემბერს 12 საათზე ქ. თბილისში მიცკევიჩის ქ. №29ა შპს „ფუნდაშენის“ ოფისში გაიმართება ღია აუქციონი.**

**აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს „ვარციხჰესების კასკადის“ კუთვნილი ქონება:**

1. საოფისე ავეჯი (სამეული 1 ც, სავარძელი 1 ც. მაგიდა 1 ც. ტელევიზორის მაგიდა 1 ც, ჟურნალების მაგიდა 1 ც, კედლის კარადა დიდი 1 ც, კედლის კარადა პატარა 1 ც, კომპიუტერის მაგიდა 1 ც, კომპიუტერის მაგიდის მისადგმელი 1 ც, საკანცელარიო მაგიდა 1 ც, ტუმბო 1 ც.ძ.

აღნიშნული საოფისე ავეჯის საწყისი ფასია 30.524 775 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველებმა გაკოტრების მმართველს უნდა წარუდგინოს განაცხადი 2008 წლის 26 დეკემბრამდე.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ გაკოტრების მმართველს პავლე კიკალიშვილს, მისამართზე ქ. წყალტუბო, სანატორიუმი „იმერეთი“.

**ტელეფონი: 899 23-48-33.**


ჯანსულ ჩარკვიანი, ირმა ჩხეიძე, ჯონი გიგანი, თამარ ჩარკვიანი, მამუკა ჩარკვიანი, ირმა კიბაბიძე იუწყებიან, რომ მოულოდნელად დაიღუპა აღნიაშვილების გვარის ღირსეული შვილი

მიხეილ (მიშიკოძ აღნიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ექიმი-ლაბორანტი

ნათელა ხარაზიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი ექიმი ტრანსფუზოლოგი

ლევან ბარბაქაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუსუდან მაზმანიშვილს ძმის

დავით მაზმანიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

კობა, ბაკურ, მზიურ, დავით, თინა გულუები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, საყვარელი დეიდაშვილის

დავით მაზმანიშვილის

გარდაცვალებას.

---

მეუღლე მაია ფოფხაძე, შვილები ანა, შოთა, შვილიშვილი ნუცა, და ნინო, დისწულები ირაკლი, გიორგი კაპანაძეები, ძმისწული ნათია, სიძე დავით კაპანაძე, რძალი ლალი ჩიგოგიძე, უახლოესი ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ანდრია (ადიკოძ შოთას ძე ხანთაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26 XI, 16 სთ. გამოსვენება 27 XI, 14 სთ. მისამართი: კოჯორი უძოს ქ. №13.

მუსიკა

# ქუთათურები პირველად შეხვდებიან



წლეულს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს დაარსებიდან 90 წლის თავი უსრულდება (დირექტორი – ენი არსენიძე).

იუბილესთან დაკავშირებით მთელი წლის მანძილზე არაერთი ღონისძიებაა დაგეგმილი. ერთ-ერთი მათგანი 29 ნოემბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართება თბილისელი სტუმრების მონაწილეობით – თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმებიანი კვარტეტი გიორგი ხაინდრავას, პაატა ჭანტურიშვილის, ირაკლი ჯაფარიძისა და გიორგი ჯორჯაძის შემადგენლობით გამართავს კონცერტს. სოლისტის ამპლუაში წარსდგება ახალგაზრდა პიანისტი ირაკლი ოიკაშვილი.

საგულისხმოა, რომ თბილისის ოპერის თეატრის სიმებიან კვარტეტს, რომელიც აგერ უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც აქტიურად მოღვაწეობს დედაქალაქში, ქუთათურები პირველად შეხვდებიან. მრავალფეროვანი პროგრამა და კონცერტში მონაწილე მუსიკოსების მაღალი საშემსრულებლო დონე ქუთაისელი მსმენელებისთვის სიამოვნების საწინდარია.

შევამჩნიეთ, ვაზუსტებთ

# შემთხვევითი ფოტო

„საქართველოს რესპუბლიკის" გუშინდელი, 25 ნოემბრის, ნომრის მე-6 გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში („უნივერსიტეტი თუ ფულის მკეთებელი ორგანიზაცია?"), რომელიც ზოგადად კერძო უმაღლეს ფასიან სასწავლებლებსა და იქ დამკვიდრებულ ფასიანი სწავლების მახინჯ ფორმას ეხება, სრულიად შემთხვევით უადგილოდ აღმოჩნდა ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოტო, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს უხდის როგორც მკითხველს, ისე თვითონ ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტს.


ქვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!




თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ"** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტი, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა"** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში **„საქართველოს რესპუბლიკას"** 90 (ოთხმოცდაათი) წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და, გაძვირების სანაცვლოდ, 2009 წლის იანვრიდან გააიაფა გაზეთზე ხელმოწერის ფასი. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა" ერთი თვით მხოლოდ 30 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! – შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა"!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე – 37.47.49; საქპრესა – 93.30.40; ექსპრესი – 93.66.78; უწყებანი – 93.64.72; ინფოსერვისი – 95.48.82; რუბიკონი – 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე – 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით – 60 ლარი, ერთი წლით – 120 ლარი.

**ჩვენი ინდექსია – 66434**

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**


კრიმინალი

# „სარფში" ძებნილები დააკავეს

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს ორი მოქალაქის დაკავება საკონტროლო-გამტარ პუნქტზე „სარფი" განხორციელდა.

აღნიშნული პირები შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს აჭარის სამმართველოს გადაეცნენ.

ინტერპრესნიუსი


რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.


კადრი



ანეკდოტები

– რა არის გულუბრყვილობა?

– იმის ვარაუდი, რომ რუსმა შეიძლება უარი თქვას არყის დალევაზე მისატანებლის უქონლობის გამო.

* * *

– ძვირფასო, ნახე, რამდენი თევზი დავიჭირე!



– ეტრაბახება ქმარი ცოლს.

– აბა, ვის ატყუებ! მეზობელმა დამინახა, როგორ შეხვედი თევზის მაღაზიაში.

– მაშ, რა მექნა, ნაწილი გავყიდე, ცხადია.

* * *

რატომ ეჩვენება მთვრალ კაცს ქალი უფრო ლამაზად?

ორგანიზმს ჰგონია, რომ იგი მოწამლეს და ჩქარობს თავისი მოდგმის გაგრძელებას.

* * *

მიხოს ტყეში ვირი მოუკვდა. რაღა ექნა, თვითონ შეება შეშით დატვირთულ დროგს. გაქაჩავს, ფეხი დაუსხლტდება, ტალახში ამოიგლაგნება. წამოდგება, კვლავ წაიქცევა... როგორც იქნა, ამოათრია ტვირთი ტრასამდე.

უცებ ახალთახალმა მერსედესმა ჩაუქროლა. მცირე მანძილის გავლის შემდეგ მანქანა გაჩერდა, უკუსვლით მიუახლოვდა მიხოს. საჭესთან მჯდომმა საოცრად ლამაზმა გოგომ ფანჯარა ჩამოსწია და მიხოს შეეკითხა:

– დუ იუ სპიკ ინგლიშ?

– იეს, აი, დუ! მაგრამ რა ჭირად მინდა, გამამადგა, რო?!


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434


რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.